# საბურთალო

სპორტული გაზეთი პარასკევი 5 ოქტომბერი 2001 №190 (1463) ფასი 50 თეთრი


## საქართველოს დიაგნოზი
## ეროვნულ გუნდს კაპიტანი დააკლდა

**გუშინ** ნაშუადღევს ბუქარესტში საქართველოს ნაკრებს მილანელი კახა კალაძეც შეუერთდა, თუმც გუშინვე გუნდს კაპიტანი გიორგი ნემსაძე გამოაკლდა. როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გვითხრა, დილის ვარჯიშზე ნემსაძემ დატვირთვას ვერ გაუძლო, მუხლმა კვლავ შეაწუხა და ნაკრების ექიმმაც ხვალ მისი თამაში გამორიცხა. ასე რომ, მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელ ალექსანდრე ჩივაძის განკარგულებაში 18 ფეხბურთელი დარჩა და ჩივაძემ ისინი გუშინ საღამოს ხვალინდელი მატჩის სარბიელზე ავარჯიშა. მათგან ყველა ჯანმრთელადაა. გამორიცხული არც ისაა, ჩივაძემ მატჩამდე ახალგაზრდული ნაკრებიდან დაიმატოს ფეხბურთელი.

დღეს ჩვენი ეროვნული გუნდი იმავე სტადიონზე ივარჯიშებს, სადაც გუშინწინ და გუშინ დილით.

ახალგაზრდული ნაკრები კი ცხრას რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება რუმინელ თანატოლებთან მატჩს დაიწყებს ბუქარესტის ცენტრში მდებარე „კოტროჩენზე“, სადაც გუშინ საათნახევარი ივარჯიშა. მწვრთნელი ვახტანგ კოპალეიშვილი შეგირდების მზადყოფნით კმაყოფილია, თუმც აშინებს მეტოქის სიძლიერეც, რაშიც წუხელ, უნგრეთ — რუმინეთის მატჩის ფირის ნახვისას დარწმუნებულა.

შევიტყვეთ ისიც, რომ ბუქარესტიდან თბილისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და ვიცე-პრეზიდენტი არ დაბრუნდებიან. ისინი მატჩის დამთავრებისთანავე პრაღისკენ გაეშურებიან, სადაც უეფას მორიგი კონგრესია დაგეგმილი და რომელშიც ნაავადმყოფარი პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონიც მიიღებს მონაწილეობას. პრაღიდან გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და ალექსანდრე ჩივაძე 13 ოქტომბერს დაბრუნდებიან, მერაბ ჟორდანია კი შვეიცარიას გაემგზავრება და ერთი კვირის განმავლობაში უეფას მუშაკებთან საქართველოს ნაკრებისთვის საწვრთნელი ბაზის მშენებლობის დაწყების თაობაზე გამართავს მოლაპარაკებას.

**ბონდო ინასარიძე**



ვაჟა იოსელიანის ფოტო

ხვალ გიორგი ნემსაძე (№7) რუმინელებთან მატჩში მუხლს ვერ გამოსვლის

## დინამოს ახლებური ლოგიკა: არველაძეს უარი. ნოდიას — ფარი

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ ახალი დამფუძნებლებით წინა კვირას დარეგისტრირდა. დოკუმენტაციის გაფორმებისას დადგინდა, რომ კლუბის პრეზიდენტი კვლავაც რევაზ არველაძე იქნებოდა. გუშინწინ კი კლუბის ახალმა მეპატრონეებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და რევაზ არველაძე „დინამოდან“ დაითხოვეს. დაუზუსტებელი ინფორმაციით კლუბს გია ფირცხალავა უდირექტორებს, რომელიც აქამდე სფფ-ში საშეჯიბრო კომიტეტს თავკაცობდა და ამ ცნობის დადასტურებაზე, ჯერჯერობით, თავს იკავებს. სამაგიეროდ, გარკვეულია, რომ მიუხედავად წარუმატებელი მუშაობისა, გუნდს კვლავ გივი ნოდია გაწვრთნის.



გია ფირცხალავა



გოჩა ტყებუჩავა, გივი ნოდია, რევაზ არველაძე და ნიკა ჩხეიძე ცოტა ხნის წინ ერთი გუნდი იყო

იხილეთ მეორე გვერდი

# ნასესხები პრეზიდენტობა ნასესხებ სიცოცხლესავით

## ეს დინამო კიბე არის, ზოგი ადის, ზოგი ჩადის

**რევაზ არველაძე** წინა სეზონიდან გახდა გაკოტრებული და უპატრონოდ მიგდებული „დინამოს“ მწვრთნელი. ცუდად დაიწყო მეთორმეტე ეროვნული „დინამომ“, მაგრამ მალე გამოვიდა შოკიდან და ზედიზედ რვა თამაში მოიგო, მესამე ადგილით ჩაამთავრა საშემოდგომო ეტაპი. არადა, „დინამოს“ უჭირდა. არც დენი, არც გათბობა, არც წყალი, არც ფული. დიღმის ბაზაზე გადმოჭიმული კაბელით ერთი ნათურა კიაფობდა, ფეხბურთელები ერთ ქურას ეფიცხებოდნენ თეორიულ მეცადინეობებზე. რევაზ არველაძეს თავისი ფული პერიოდულად მიჰქონდა გუნდში, მეგობრებიც ეხმარებდნენ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, „დინამო“ უფრო მონდომების და ზედმიწევნით ემოციური მწვრთნელის ხარჯზე გადიოდა ფონს.

საშემოდგომო ეტაპის დამთავრების შემდეგ რევაზ არველაძემ პრესკონფერენცია გამართა და საქვეყნოდ განაცხადა, თუ „დინამოს“ არ მიხედავენ, მე და ჩემი სამეგობრო დავაფუძნებთ შპს-ს და „დინამოსაც“ ჩვენვე ვუპატრონებთ, თორემ სხვაგვარად ვალდებული აღარ ვარ, ჩემი ფული მოვიტანო გუნდშიო. ამ განცხადებას დიდი გამოხმარება უმალ არ მოჰყოლია, მაგრამ როცა კახა კალაძე კიევის „დინამოდან“ „მილანში“ გადავიდა და ამ ტრანსფერიდან თბილისურ „დინამოს“ კუთვნილ 50 პროცენტზე ყველა ალაპარაკდნენ, ჩვენი „დინამოს“ დაპატრონებაზე ერთი მითქმა-მოთქმა წავიდა. გუნდს ვალებიც გასასტუმრებელი ჰქონდა, თუ არადა „დინამოს“ ფიფას სანქციები და რეგიონულ ლიგაში ჩაყურყუმალავება არ ასცდებოდა. სწორედ მაშინ, ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულებით „დინამო“ პოლიციას ჩაბარდა. რევაზ არველაძე კლუბის დანიშნული პრეზიდენტი გახდა, „დინამოს“ მწვრთნელი კი მანამდე მისი თანაშემწე გოჩა ტყებუჩავა შეიქნა. ამასობაში არეულობასა და კლუბის რეგისტრაციის მოლოდინში „დინამოდან“ 12 ფეხბურთელი წავიდა. არველაძემ და ტყებუჩავამ ახალგაზრდებს უხმეს, რომელთაგან ზოგს უმაღლეს ლიგაში საერთოდ არ ეთამაშა. სამაგიეროდ, კარგი ხელფას-პრემიები გამოუჩნდა „დინამოს“. გოჩა ტყებუჩავამ და ნიკა ჩხეიძემ საქმეს თავი გაართვეს, გუნდს ბრინჯაო მოაპოვებინეს.

ერთიც უნდა ითქვას. რევაზ არველაძისა და მისი ძმების ფინანსური ხელშეწყობით (ბიუჯეტიდან თეთრიც არ დახარჯულა) მოხერხდა 1981 წლის 13 მაისის 20 წლისთავის აღნიშვნა. იმ დღეს დავით ყიფიანი ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ პირველად და უკანასკნელად გავიდა მინდორზე ფეხბურთის სათამაშოდ...



გივი ნოდია



რევაზ არველაძე



გოჩა ტყებუჩავა

ახალი სეზონისთვის „დინამომ“, ცხადია, ჩემპიონობა დაისახა მიზნად. ფეხბურთელების სურვილი იყო, კვლავ გოჩა ტყებუჩავა დარჩენილიყო მთავარ მწვრთნელად. რევაზ არველაძე ამის წინააღმდეგი არ გახლდათ, თუმც საუკეთესო ვარიანტად უცხოელ მწვრთნელის ჩამოყვანა ესახებოდა. მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, „დინამოს“ დამრიგებლად „ლოკომოტივიდან“ წამოსული გივი ნოდია მიიწვიეს. გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე მისი თანაშემწეები გახდნენ.

„დინამომ“ ნოდიას რეკომენდაციით ახალი ფეხბურთელები შეიძინა. კლუბის თითოეულ ფეხბურთელთან კონტრაქტები გაფორმდა. რევაზ არველაძის ძალისხმევით გუნდი ერთ მოთამაშესაც არ დაუტოვებია. გაფორმდა ხელშეკრულება ფირმა JAKO-სთან, რომლის ფორმებითაც შეიმოსა „დინამო“. მოეწყო ორი შეკრება, ჯერ ბაკურიანში, მერე გერმანიაში. სამტრედიის „ოკეანესთან“ შეთანხმების საფუძველზე კლუბმა თავის გუნდი ჩართო პირველ ლიგაში. „დინამოს“ სამივე ლიგაში ჰყავს გუნდი და ამ ყველაფრის ორგანიზებას ფულის გარდა დიდი შრომა და უნარიც სჭირდება.

მეცამეტე ეროვნული კი გივი ნოდიას (რომლის საქმეში არავინ ერეოდა) გაწვრთნილმა „დინამომ“, რომელსაც ჩვენში საუკეთესო პირობები აქვს, ერთობ უფერულად დაიწყო. უეფას თასზე ბელარუსულ ბორისოვის ბატე-ს შინ 2:1 მოუგო, ბელარუსში კი საშინლად, 0:4 შერცხვა.

და ყველაფერ ამის შემდეგ „დინამოდან“ რევაზ არველაძე გაუშვეს. უკვე ნოდიას თანაშემწე გოჩა ტყებუჩავას დათხოვნაზეც ლაპარაკობენ.

რევაზ არველაძეს გუშინვე ჩამოვართვით ინტერვიუ. ვერ დავიჩემებთ, რომ ჩვენი საუბარი ყოვლისმომცველია და არც იყო შესაფერისი მომენტი აბსოლუტურად ყველაფერი ეთქვა „დინამოს“ ექსპრეზიდენტს, ამას ალბათ დრო და უფრო ცივი გონება სჭირდება.

**— თქვენი „დინამოდან“ ჩამოცილების ამბავი გუნდში ახალი მეპატრონის მოსვლას უკავშირდება. მთავარი მწვრთნელი გივი ნოდია კი პრინციპულ მატჩებში მარცხის მიუხედავად პოსტს ინარჩუნებს...**

— ლაპარაკი იმით დავიწყოთ, რომ ნოდიამდე ალექსანდრე ჩივაძის მოწვევა გვსურდა, მაგრამ მისგან უარი მივიღეთ. შემდეგ რუს სპეციალისტ ვლადიმერ ფედოტოვზე შევჩერდით, მასთან ჩავედით კიდეც მე და „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნიკა ივანიშვილი, თუმც ფედოტოვმა ოჯახური პრობლემები მოიმიზეზა და ეს ვარიანტიც გამოირიცხა. გივი ნოდიას კანდიდატურა კი კლუბის მაშინდელმა დამფუძნებლებმა დააყენეს და მეც მხარი დავუჭირე.

**— რატომ, განა დიდი მიზნებისთვის უკეთესი სპეციალისტის მოწვევა არ აჯობებდა?**

— მაშინ ვფიქრობდი, რომ გივი ნოდია შეძლებდა კარგი ურთიერთობის დამყარებას ფეხბურთელებთან და ახალგაზრდებს ხელს შეუწყობდა დაწინაურებაში. თანაც ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით და მე მორალური უფლება არ მქონდა, გივი ნოდიას კანდიდატურას შევწინააღმდეგებოდი. მანამდე კი შოტლანდიელ მწვრთნელ დონალდ მაკაისაც ველაპარაკეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა, რადგან საამისო სახსრები არ გამოიძებნა.

**— შსს-ს მინისტრ კახა თარგამაძესთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

— თარგამაძე ვაჟკაცურად გვედგა მხარში — მისი ყველა დანაპირები სრულდებოდა, იგი ხომ ძალიან დაეხმარა „დინამოს“ ფეხზე წამოდგომაში. რომ არა თარგამაძის მხარდაჭერა, „დინამოს“ ინვესტორი საერთოდ არ გამოუჩნდებოდა.

**— „დინამოს“ ახალ მეპატრონეებზე რას გვეტყვით?**

— როგორ წაადგება მათი საქმიანობა „დინამოს“, ეს მალე გამოჩნდება, ახლა კი უბედურება ისაა, რომ გუნდის ჩემპიონობა სათუოა. ხოლო ჩემს განთავისუფლებაში ტრაგედიას ვერ ვხედავ.

**— როგორ ფიქრობთ, გაართმევს საქმეს თავს გივი ნოდია, როგორ წაუვა საქმეები „დინამოს“?**

— ეს გივი ნოდიას ჰკითხეთ, ამბობს, სწორ გზაზე ვდგავართო და თუ მას „დინამოდან“ ჩემი წასვლით ხელ-ფეხი გაეხსნება და გუნდი უკეთ ათამაშდება, ამას რა სჯობს. და საერთოდ, ფეხბურთელები ჩემი გულისთვის არ თამაშობდნენ, ისინი იმიტომ თამაშობდნენ და ორჯერ და სამჯერ უკეთ იმიტომ უნდა ითამაშონ, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები არიან.

**— გივი ნოდია წაგებული თამაშების მერეც ხშირად ამბობდა, ზოგიერთ ფეხბურთელს უცხოეთისკენ უჭირავს თვალი, რაც ჩემთვის ხელისშემშლელი ფაქტორიაო. ამით ის თქვენ ხომ არ გადანაშაულებდათ რამეში?**

— ასეთ ბრალდებას არანაირი საფუძველი არ გააჩნია. ვინც ჩემთან მოვიდა უცხოეთში წასვლის სურვილით, ყველას უარი ვუთხარი. კლუბში ჩემს გარეშე არაფერი წყდებოდა.

**— თუ ასე იყო, მთავარი მწვრთნელის დანიშვნის შემთხვევაში რა მოხდა?**

— ნოდია კი მოვიდა, მაგრამ მასზე უფრო ხომ სხვა მინდოდა მომეწვია.

**— რატომ მოხდა, რომ კლუბის ახალმა მეპატრონემ წარუმატებლად მომუშავე მწვრთნელი კი არა, თქვენ გაგათავისუფლათ? ვინ დგას „დინამოს“ აქციათა 90 პროცენტის მფლობელი ფირმის უკან?**

— მე ამ ფირმის წარმომადგენლებს არ შევხვედრივარ. ისინი ალბათ მალე გამოჩნდებიან და ეს შეკითხვაც მათ უნდა დაუსვათ, მე ვერაფერს გეტყვით.

**— თქვენ რას აპირებთ, მწვრთნელის კარიერას გააგრძელებთ?**

— ამაზე უნდა დავფიქრდე. შესაძლოა, სასწავლებლადაც წავიდე უცხოეთში მწვრთნელთა რომელიმე სკოლაში, ეგებ, წინადადებებიც იყოს. ვნახოთ, რა მოხდება.

**— გული კი ნაღდად ძალიან დაგწყდებოდათ, „დინამოს“ რომ ჩამოგაშორეს...**

— ცხადია, გული მწყდება. „დინამოსთან“ ერთად ხომ დიდი გაჭირვება გადავიტანეთ წინა სეზონში და ეს არ იყო უბრალო შეუპოვრობა, ამას მხოლოდ „დინამოსთვის“ თუ გააკეთებდა კაცი. საწყენია, ასე რომ მოხდა, მაგრამ რა გაეწყობა. გასაჭირში ბევრ ახალ რამეს დაინახავს კაცი. ეს ცხოვრების კიბეა და მე ბევრი რამ ვისწავლე.

**დავით თავათრქილაძე**

# ისრაელ — ავსტრიამ შავი ზღვის წყალი დალია

**კვირას** გასამართი ისრაელ — ავსტრიის მატჩი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის მეშვიდე შესარჩევი ჯგუფიდან პლეი ოფში გამსვლელის ვინაობა უნდა გამოევლინა, გაურკვეველი დროით გადაიდო.

ავსტრიელები, რა ხანია, ფიფასგან მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გადატანას ითხოვდნენ, მიზეზად ისრაელში უსაფრთხოების გარანტიების არქონას ასახელებდნენ, მაგრამ გუშინდლამდე ფიფა მათ მოთხოვნას ყურად არ იღებდა.

გუშინ კი ტრაგედია მოხდა — ნოვოროსიისკთან აფეთქდა და შავ ზღვაში ჩავარდა რუსული თვითმფრინავი, რომელიც თელ ავივიდან ნოვოსიბირსკში მიემართებოდა. დაიღუპა 76 ადამიანი. მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ თვითმფრინავის ჩამოვარდნა ტერორისტების ნახელავია. ფიფა შეშინდა, ეჭვის დადასტურება-უარყოფას არ დაელოდა და საგანგებო ვითარებათა კომიტეტის სხდომაზე მატჩის გადადება გადაწყვიტა.

აღსანიშნავია, რომ ეს კომიტეტი ფიფაში სულ ახლახანს, ამერიკაში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ შეიქმნა და საქმეც მალევე გამოუჩნდა.



REUTERS ფოტო

ავსტრიელთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბეპო მოჰარტი და მწვრთნელი ოტო ბარიჩი არ ტყუოდნენ

## ინგლისი

მეორე დივიზიონი

XII ტური

ტრანმირი 4:0 ბლეკპული

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

XI ტური

ნიმი 2:2 ნანსი

## იტალია

თასის II ეტაპი. I მატჩი

სამპდორია 1:1 ტორინო

## ესპანეთი

პირველი დივიზიონი

VI ტური

სელტა 1:1 ვალენსია

0:1 ხუან სანჩესი (6), 1:1 მორისი (51)

## ამხანაგური მატჩი

იაპონია 0:2 სენეგალი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

## აზია. II წრე

B ჯგუფი. VII ტური

კატარი 1:2 საამიროები

# დღეს ვაკეში: მწვრთნელები დღეს და ხვალ

**დღეს** ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონის კეთილმოწყობილ საპრესკონფერენციო დარბაზში მწვრთნელთა განათლების ცენტრის დირექტორი გაიოზ დარსაძე უმაღლესი და პირველი ლიგის მწვრთნელებს ლექცია-სემინარს ჩაუტარებს თემაზე — „მწვრთნელი დღეს და ხვალ“.

დარსაძის ლექცია ფეხბურთში უახლოესი ტექნოლოგიების დანერგვაზე საუბარსაც მოიცავს.

შეგახსენებთ, გაიოზ დარსაძე მწვრთნელთა განათლების საქმეს მას შემდეგ დაუბრუნდა, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამ ერთი თვის წინ ქნდო.

დარსაძე შუა სექტემბერში ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გამართულ მწვრთნელთა განათლების დირექტორთა მეოთხე კონფერენციას დაესწრო, და დღეს ქართველ მწვრთნელებს სწორედ უეფაში მიღებულ ცოდნას გაუზიარებს.

**ბაატა ძგანტალიანი**



გაიოზ დარსაძე

# ჩემპიონებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!

**შარშანდელ** ესენგეს ჩემპიონთა თასზე ქუთაისის „ტორპედომ“ ქართულ ფეხბურთს შელახული რეპუტაცია აღუდგინა. საქართველოს ჩემპიონმა შარშან მეორე ლიგაში სამივე თამაში მოიგო და სამომავლოდ ელიტაში დაიბევა ადგილი. თუმცა... როგორც ამ დღეებში მოსკოვში გაცხადდა, ესენგეს ჩემპიონთა თასი ამიერიდან ძველი სისტემით ჩატარდება, ყოფილი საბჭოეთის 15 რესპუბლიკის ჩემპიონები ერთ დონეზე ოთხ ქვეჯგუფში გადანაწილდება, მეთექვსმეტე კი ტურნირში უკონკურსოდ მონაწილე რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები იქნება.

ესენგეს ჩემპიონთა თასის მეათე საიუბილეო გათამაშება რუსეთის დედაქალაქში 19 იანვრიდან აიღებს სტარტს. გაირკვა საქართველოს ჩემპიონის მეტოქეთა ვინაობაც. ქუთაისის „ტორპედოს“ ჯგუფიდან გასვლაში ყაზახური ასტანის „ჟენისი“ და ლატვიური რიგის „სკონტო“ შეეცილებიან, მეოთხე კი B ჯგუფში რუსი 21-წლამდელები არიან.

მოგეხსენებათ, „სკონტო“ ძოძუაშვილის ძველი ნაცნობია, 1997-99 წლებში ამ გუნდს კონსულტანტობდა და რიგაში ქართული ლეგიონი მოგროვებაშიც მიუძღვის დიდი წვლილი. „სკონტოში“ ამჟამად ალექსანდრე რეხვიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, დავით ჩალაძე, ლევან კორღალიძე და გივი კვარაცხელია თამაშობენ. ერთი ქართველი ლეგიონერი ასტანის „ჟენისსაც“ ჰყავს — ყაზახთა თავდასხმაში მთავარი დამრტყმელი ძალა ვასილ სეფაშვილია.

ტურნირის საპრიზო ფონდი 100 000 ამერიკული დოლარია, ჩემპიონი 35 ათასით გაისქელებს ჯიბეს, ფინალისტი 15 000-ს მიიღებს.

მეოთხედფინალში ქვეჯგუფებიდან ორ-ორი გუნდი გავა. თუ „ტორპედომ“ ჯგუფური ბარიერი გადალახა, მაშინ A ჯგუფის პირველ ან მეორე გუნდს დაუპირისპირდება. A ჯგუფში კი კენჭისყრით რუსეთის, უზბეკეთის, სომხეთისა და მოლდოვის ჩემპიონები განაწილდებიან.

მეოთხედფინალები 23 იანვარს გაიმართება, ნახევარფინალები 25-ში, ფინალი კი 27 იანვარს მოსკოვის ცენტრალურ სპორტკომპლექს „ოლიმპიისკში“ ჩატარდება.

**გიორგი ვაჩნაძე**

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი ეტაპი

მეცხრე ტური

ხობი — თორი 4:1; სამტრედია — დინამო 2 1:2; ლოკომოტივი 3 — ცხინვალი 3:0; თსუ — ლაზიკა 2:1; ქობულეთი — მერანი 2 3:0; მილანი — დილა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 9 | 7 | 2 | 0 | 22:1 | 23 |
| ქობულეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 10:6 | 19 |
| მილანი | 9 | 5 | 3 | 1 | 18:5 | 18 |
| დინამო 2 | 9 | 5 | 0 | 4 | 11:10 | 15 |
| ცხინვალი | 9 | 4 | 2 | 3 | 16:12 | 14 |
| თსუ | 9 | 4 | 2 | 3 | 13:9 | 14 |
| ლოკომოტივი 3 | 9 | 3 | 4 | 2 | 14:13 | 13 |
| ხობი | 9 | 2 | 5 | 2 | 8:8 | 11 |
| ლაზიკა | 9 | 2 | 2 | 5 | 8:18 | 8 |
| მერანი 2 | 9 | 2 | 1 | 6 | 5:13 | 7 |
| სამტრედია | 9 | 1 | 2 | 6 | 6:16 | 5 |
| თორი | 9 | 1 | 0 | 8 | 5:25 | 3 |

საქართველოს ჩემპიონატი
რეგიონული ლიგა
პირველი ეტაპი

როგორც თბილისის ფეხბურთის ფედერაციაში გვაცნობეს, დადგინდა დავით ყიფიანის გარდაცვალების გამო გადადებული რეგიონული ლიგის გამოტოვებული ტურის გასამართი თარიღი აღმოსავლეთ ზონაში. გუნდები მეხუთე ტურის მატჩებს 26 ნოემბერს ჩაატარებენ.

## აღმოსავლეთი

მერვე ტური

მესხეთი — ზოოვეტი 1:0; მრეტები — მაუდი 0:1 თბილისი — მერანი 3; კრწანისი — ლიახვეც ქაბუკიანი — მესხეთიც ცხუმი — დინამო 3; ჯავახი — ივერიაც ალაზანი — ოლიმპიკუ გორდა 2 — ვარძია დღეს გაიმართება, აკადემია — ვიტ ჯორჯია 2 კი ხვალ

## დასავლეთი

მერვე ტური

საპოვნელა — გზები 6:1; მაღაროელი — ეგრისი 6:3; ლუკა — ოკრიბა 2:0; სალხინო — ზუგდიდი 2:1; ჩიხურა — მეტალურგი 2 0:0; საირმე — გურია 2 0:1; სქური — სულორი 2:1; კოლხეთი 2 — სამეგრელო 5:0; ინტერი — სოხუმი 1:0; ბათუმი 2 — მერცხალი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 8 | 7 | 1 | 0 | 16:3 | 22 |
| სულორი | 8 | 7 | 0 | 1 | 21:6 | 21 |
| გურია 2 | 8 | 6 | 1 | 1 | 20:4 | 19 |
| ზუგდიდი | 8 | 6 | 1 | 1 | 17:7 | 19 |
| საპოვნელა | 8 | 4 | 3 | 1 | 24:8 | 15 |
| კოლხეთი 2 | 8 | 4 | 3 | 1 | 14:4 | 15 |
| სალხინო | 8 | 5 | 0 | 3 | 12:11 | 15 |
| მეტალურგი 2 | 8 | 4 | 2 | 2 | 11:9 | 14 |
| ინტერი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:7 | 13 |
| მაღაროელი | 8 | 4 | 1 | 3 | 16:15 | 13 |
| სქური | 8 | 4 | 1 | 3 | 13:12 | 13 |
| საირმე | 8 | 3 | 1 | 4 | 8:7 | 10 |
| სამეგრელო | 8 | 3 | 1 | 4 | 12:15 | 10 |
| ეგრისი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:16 | 10 |
| ლუკა | 8 | 2 | 0 | 6 | 7:17 | 6 |
| ბათუმი 2 | 8 | 1 | 1 | 6 | 3:10 | 4 |
| სოხუმი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:17 | 4 |
| ჩიხურა | 8 | 1 | 1 | 6 | 6:21 | 4 |
| გზები | 8 | 1 | 0 | 7 | 4:21 | 3 |
| ოკრიბა | 8 | 0 | 0 | 8 | 1:22 | 0 |

# გავხდეთ პროფები

**რუსთავის** „გორდას“ პრეზიდენტმა თემურ ბუილიშვილმა დანაპირები აასრულა და 3 ოქტომბერს საფეხბურთო კლუბთან არსებული ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული კომპლექსი საზეიმოდ გახსნა. კომპლექსი ფუნქციონირებას თავიდან ორი სახეობით — ფეხბურთით და რაგბით — დაიწყებს. მოგვიანებით კი სპორტის სხვა სახეობებშიც მიიღებენ მსურველებს. მისი დევიზია — „გავხდეთ პროფესიონალები“. უკვე შექმნილია ასაკობრივი ჯგუფები. კომპლექსში გაწვრთნიან 6-12 წლამდე ასაკის მოზარდებს, რომელთაც სკოლაში ჩარიცხვამდე ნორმატივების ჩაბარება მოუწევთ. მათ ტესტირებას მიმღები კომისიის თავმჯდომარე თემურ ჯაფარიძე ხელმძღვანელობს.

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების კურატორის მოვალეობას კი სპორტული კომპლექსის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, ასევე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვახტანგ კოპალეიშვილი შეასრულებს.

**ბაჩა ზალამბერიძე**

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# იტალიას უნგრეთი აშინებს

# ტრაპატონის კაცი რუსეთში

**ხვალ** საქართველოს ნაკრები ბუქარესტში რუმინელებს რომ დაუპირისპირდება, პარალელურად იტალიის ქალაქ პარმაში მერვე შესარჩევი ჯგუფის მეორე მატჩიც გაიმართება, მასპინძელთა მეტოქე უნგრეთია.

იტალიის სტუმართათვის ამ თამაშს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მერვე შესარჩევი ჯგუფიდან მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მოსახვედრი ადგილი უკვე დაჯავშნულია. კორეა-იაპონიაში ან იტალია ითამაშებს ან რუმინეთი, ანაც ორივე ერთად. მეტი შანსი ჯგუფის ლიდერ იტალიას აქვს, რუმინელები კი, ალბათ, პლეი ოფის მატჩში შეეცდებიან იტალიელთა კვალში დადგომას.

„სკუადრა ადზურამ“, ცხადია, იცის, რომ წყალწაღებულ უნგრეთთან ხვალინდელ მატჩში მათთვის ფრეც საკმარისია მსოფლიოს საგაისო ჩემპიონატზე ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე მოსახვედრად, მაგრამ არის ვარიანტი, იტალიამ პირველი ადგილი რუმინეთს დაუთმოს. მაგალითად, აპენინელებმა უნგრეთთან თუ ფრედ ითამაშეს და რუმინელებმა ქართველები 9:0 დაამარცხეს, ან მადიარებმა იტალიას თუ სძლიეს და საქართველო ნებისმიერი ანგარიშით დამარცხდა. თუმც კი ჯოვანი ტრაპატონის გუნდი არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს.

— ჩვენთვის ფრეც მისაღები ანგარიშია, თუმც ქულისთვის არ ვითამაშებთ. რა იცით, ყველაფერი მოსალოდნელია. ხომ შეიძლება, უნგრეთმა მატჩის მიწურულს გაგვიტანოს? სისულელეა ფრეზე თამაში, ჩვენ უნდა მოვიგოთ — ამბობს იტალიის ნაკრებისა და „რომას“ ნახევარმცველი დამიანო ტომაზი, რომელიც სხვა თანაგუნდელებთან ერთად ამჟამად კოვერჩიანოს საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობს — აბა, ვინ წარმოიდგენდა, ლიტვაში თუ ვერ მოვიგებდით. ბალტიისპირელებთან ფრე სწორედ იმის ნიშანია, რომ ნებისმიერ უსახელო გუნდთან მატჩი მოულოდნელი ანგარიშით დასრულდეს. დამეთანხმებით, ლიტვაში ფრე სენსაციური შედეგი გახლდათ, ამიტომაც ახლა ფრთხილად უნდა ვიყოთ. მით უმეტეს, უნგრეთმა იცის, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ეთამაშება და გაათკეცებული ენერგიით დაგვიპირისპირდება — განუცხადა სააგენტო „როიტერს“ ხუჭუჭთმიანმა იტალიელმა.

დამიანო ტომაზის აზრს იზიარებს იტალიის ნაკრების კიდევ ორი ფეხბურთელი, „იუვენტუსის“ მცველი მარკ იულიანო და „მილანის“ ფორვარდი ფილიპო ინძაგი.

— ნურავის ეგონება, რომ უნგრეთთან სამი ქულა გარანტირებული გვაქვს. ჩვენი საშაბათო მეტოქე არც ისეთი ხელწამოსაკრავია, როგორც ამბობენ. თუნდაც ის გავიხსენოთ, რომ ბუდაპეშტში ჩვენ ფრედ — 2:2 ვითამაშეთ. ამ მატჩმა დამარწმუნა, უნგრეთს საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელები ჰყავს. უეჭველია, შაბათს ძალიან რთული თამაში გველის, თუმც იმის იმედი მაქვს, რომ ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დამთავრდება — თქვა იულიანომ.

ინძაგიმ კი აღნიშნა, უნგრელებს დასაკარგი არაფერი აქვთ, ფსიქოლოგიური ტვირთისგან თავისუფლები არიან, ეს ფაქტორი ჩვენ სირთულეებს შეგვიქმნის და მეტოქის დასამარცხებლად პირველსავე წუთიდან შეტევა და უნგრელთა დაწიოკება გვმართებსო.

შეგახსენებთ, უნგრეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე 1986 წლის შემდეგ არ უთამაშია და მაშინაც მექსიკას პირველივე ეტაპის შემდეგ დაემშვიდობა.

იტალიელთა ბევრისმნახველი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი კი უნგრეთის ღიდ გუნდს იხსენებს, მეტოქის შესაძლებლობებს სათანადოდ აფასებს და თავისი შეგირდების მსგავსად მომავალ მატჩზე ისიც საკმაოდ თავდაჭერილად საუბრობს, ეგ კი არა, ისეთი რამ განაცხადა, რის გამგონე ზოგიერთ იტალიელს თმები ყალყზე დაუდგა.

— გამორიცხული არაფერია. ბურთი მრგვალია და შესაძლოა, შაბათს უნგრეთთან წავაგოთ კიდეც. ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, ვინ იცის, ეგებ პლეი ოფში თამაშმა მოგვიწიოს. ამიტომაც გადავწყვიტე და ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას ვთხოვე, ჩემი მზირის მოსკოვსა და ლიუბლიანაში მივლინება — თქვა ტრაპატონიმ.

საქმე ის გახლავთ, რომ მერვე შესარჩევი ჯგუფის მეორეადგილოსანს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად პირველჯგუფელ „კოლეგასთან“ მოუწევს პლეი ოფში დაპირისპირება. საპლეიოფო მეტოქეებად კი ტრაპატონი სწორედ რუსებსა და სლოვენიელებს გულისხმობს. ჩვენი მეზობლები 6 ოქტომბერს შვეიცარიელებს მასპინძლობენ, სლოვენიელები კი ფარერებს და ძნელი წარმოსადგენია, მასპინძლებმა ქულები დაკარგონ. ასეთ შემთხვევაში კი ჩვენს ჯგუფელ მეორეს სლოვენიელებთან საქმის დაჭერა მოუწევს. აი, პროფესიონალიზმი და აი, ამიტომ არის იტალია იტალია და ტრაპატონი მაესტრო. მწვრთნელი წინდახედულია, მოულოდნელობას არ გამორიცხავს. ღმერთმა უწყის და ეგებ იტალია ჯგუფში ერთხელ მაინც დამარცხდეს. თუმც ისიც ხომ მეტად საეჭვოა, ქართველებმა რუმინეთში თუნდაც ფრედ ითამაშონ და იტალიელებს საქმე გაურთულონ.

უნგრელებთან მატჩისთვის ჯოვანი ტრაპატონის ყველა სასურველი ფეხბურთელი გვერდით ჰყავს. სტუმართა ახალდანიშნული მწვრთნელი იმრე დელეის კი ბელგიის „ანტვერპენის“ ნახევარმცველი მიკლოშ ლენდვაი დააკლდება.

**კობა ინასარიძე**



პირველი ტურის უნგრეთი — იტალია 2:2. ფილიპო ინძაგი (№9) და იანუშ მატიუში

## იტალია

*მეკარეები:* ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი);

*მცველები:* პაოლო მალდინი (მილანი), მარკო მატერაცი (ინტერი), მარკ იულიანო, ჯანლუკა პესოტო (ორივე იუვენტუსი), ფაბიო კანავარო (პარმა), ფრანჩესკო კოკო (ბარსელონა, ესპანეთი), ვალერიო ბერტოტო (უდინეზე), დანიელე ადანი (ფიორენტინა);

*ნახევარმცველები:* დემეტრიო ალბერტინი, ჯენარო გატუზო (ორივე მილანი), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), სტეფანო ფიორე (ლაციო), დამიანო ტომაზი (რომა), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი);

*თავდამსხმელები:* ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), ფილიპო ინძაგი (მილანი), ფრანჩესკო ტოტი, ვინჩენცო მონტელა, მარკო დელვეკიო (ყველა რომა)

## უნგრეთი

*მეკარეები:* გაბორ კირალი (ჰერტა, გერმანია), ლაიოშ შუცი (ფერენცვაროში);

*მცველები:* ვილმოშ შებოკი, იანუშ მატიუში (ორივე კოტბუსი, გერმანია), ატილა კუტორი (დებრეცენი), ტამაშ პეტო (ბრედა, ჰოლანდია), ლასლო ბოდნარი (დინამო, უკრაინა), ატილა დრაგონერი (ფერენცვაროში), ტამაშ იუჰარი (ვაშაში), იანუშ დიორი (მტკ);

*ნახევარმცველები:* ვასილე მირიუტა (კოტბუსი, გერმანია), პალ დარდაი (ჰერტა, გერმანია), კრისტიან ლისტეში (ვერდერი, გერმანია), ზოლტან პეტო, (უიპეშტი), გაბორ ეგრეში (ზალაეგერსეგი);

*თავდამსხმელები:* ატილა ტოკოლი (დუნაფერი), იშტვან ფერენცი (მტკ), პეტერ კაბატი (გიოზთეპე, თურქეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული გუნდის

## ყველა მატჩი, ყველა მოთამაშე

*ვიდრე საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ჩაგდებული შესარჩევი ციკლისა და წლის ბოლო მატჩს გამართავს ხვალ, ერთხელაც გადავავლოთ თვალი ეროვნული გუნდის წინა მატჩებსა და მონაწილეებს.*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 27.05.90 | ამ | შ | ლიტვა | 2:2 | გურული, კაჭარავა |
| 27.05.90 | ამ | შ | ლიტვა | 2:2 | გურული, კაჭარავა |
| 02.07.91 | ამ | ს | მოლდოვა | 4:2 | ქეცბაია, დარასელია, მ. ჯიშკარიანი, ყაველაშვილი |
| 02.09.92 | ამ | ს | ლიტვა | 0:1 | |
| 17.09.92 | ამ | შ | აზერბაიჯანი | 6:3 | ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 22.12.92 | ამ | ს | კვიპროსი | 0:1 | |
| 25.05.93 | ამ | ს | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 08.02.94 | მტ | ნ | სლოვენია | 0:1 | |
| 10.02.94 | მტ | ნ | მალტა | 1:0 | ქეცბაია |
| 12.02.94 | მტ | ნ | ტუნისი | 2:0 | ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 23.02.94 | ამ | ს | ისრაელი | 0:2 | |
| 11.06.94 | ამ | ს | ნიგერია | 1:5 | რ. არველაძე |
| 26.06.94 | ამ | ს | ლატვია | 3:1 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 19.07.94 | ამ | შ | მალტა | 1:1 | შ. არველაძე |
| 07.09.94 | ეჩშ | შ | მოლდოვა | 0:1 | |
| 12.10.94 | ეჩშ | ს | ბულგარეთი | 0:1 | |
| 16.11.94 | ეჩშ | შ | უელსი | 5:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 14.12.94 | ეჩშ | ს | ალბანეთი | 1:0 | შ. არველაძე |
| 29.03.95 | ეჩშ | შ | გერმანია | 0:2 | |
| 26.04.95 | ეჩშ | შ | ალბანეთი | 2:0 | შ. არველაძე, ქეცბაია |
| 07.06.95 | ეჩშ | ს | უელსი | 1:0 | ქინქლაძე |
| 06.09.95 | ეჩშ | ს | გერმანია | 1:4 | ქეცბაია |
| 11.10.95 | ეჩშ | შ | ბულგარეთი | 2:1 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 15.11.95 | ეჩშ | ს | მოლდოვა | 2:3 | დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 27.03.96 | ამ | ს | კვიპროსი | 2:0 | ქეცბაია, ჯამარაული |
| 24.04.96 | ამ | ს | რუმინეთი | 0:5 | |
| 08.05.96 | ამ | ს | საბერძნეთი | 1:2 | გოგრიჭიანი |
| 01.09.96 | ამ | ს | ნორვეგია | 0:1 | |
| 09.10.96 | მჩშ | ს | იტალია | 0:1 | |
| 09.11.96 | მჩშ | შ | ინგლისი | 0:2 | |
| 05.12.96 | ამ | ს | ლიბანი | 2:4 | იაშვილი, კიკნაძე |
| 08.12.96 | ამ | ს | ლიბანი | 2:3 | გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30.03.97 | ამ | შ | სომხეთი | 7:0 | შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 30.04.97 | მჩშ | ს | ინგლისი | 0:2 | |
| 07.06.97 | მჩშ | შ | მოლდოვა | 2:0 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 14.06.97 | მჩშ | ს | პოლონეთი | 1:4 | შ. არველაძე |
| 10.09.97 | მჩშ | შ | იტალია | 0:0 | |
| 24.09.97 | მჩშ | ს | მოლდოვა | 1:0 | ქეცბაია |
| 11.10.97 | მჩშ | შ | პოლონეთი | 3:0 | ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 06.02.98 | მტ | ნ | ლატვია | 2:1 | ჯამარაული 2 |
| 08.02.98 | მტ | ნ | ალბანეთი | 3:0 | ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი |
| 10.02.98 | მტ | ს | მალტა | 3:1 | ყაველაშვილი 2, ჯამარაული |
| 02.05.98 | ამ | ს | ტუნისი | 1:1 | ქინქლაძე |
| 30.05.98 | ამ | შ | რუსეთი | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 12.08.98 | ამ | ს | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 19.08.98 | ამ | ს | უკრაინა | 0:4 | |
| 05.09.98 | ეჩშ | შ | ალბანეთი | 1:0 | ა. არველაძე |
| 10.10.98 | ეჩშ | ს | ლატვია | 0:1 | |
| 14.10.98 | ეჩშ | ს | საბერძნეთი | 0:3 | |
| 18.11.98 | ამ | შ | ესტონეთი | 3:1 | აშვეთია 2, დ. ჯანაშია |
| 20.03.99 | ამ | შ | უკრაინა | 0:1 | |
| 27.03.99 | ეჩშ | შ | სლოვენია | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 28.04.99 | ეჩშ | შ | ნორვეგია | 1:4 | ზ. ჯანაშია |
| 30.05.99 | ეჩშ | ს | ნორვეგია | 0:1 | |
| 05.06.99 | ეჩშ | შ | საბერძნეთი | 1:2 | ქეცბაია |
| 04.09.99 | ეჩშ | ს | სლოვენია | 1:2 | შ. არველაძე |
| 08.09.99 | ეჩშ | შ | ლატვია | 2:2 | შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 09.10.99 | ეჩშ | ს | ალბანეთი | 1:2 | შ. არველაძე |
| 02.02.00 | კტ | ნ | სლოვაკეთი | 2:0 | ქეცბაია, ყაველაშვილი |
| 04.02.00 | კტ | ნ | რუმინეთი (2:4) | 1:1 | ქეცბაია |
| 06.02.00 | კტ | ნ | სომხეთი | 2:1 | ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი |
| 28.03.00 | ამ | ს | ისრაელი | 1:1 | ქინქლაძე |
| 26.04.00 | ამ | ს | სომხეთი | 0:0 | |
| 04.06.00 | ამ | ს | აზერბაიჯანი | 0:0 | |
| 11.06.00 | ამ | ს | ესტონეთი | 0:1 | |
| 16.08.00 | ამ | ს | ირანი | 1:2 | ყაველაშვილი |
| 07.10.00 | მჩშ | ს | ლიტვა | 4:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე |
| 11.10.00 | მჩშ | ს | იტალია | 0:2 | |
| 14.02.01 | ამ | შ | უკრაინა | 0:0 | |
| 28.03.01 | მჩშ | შ | რუმინეთი | 0:2 | |
| 24.04.01 | ამ | შ | ისრაელი | 3:2 | ქეცბაია 2, ა. არველაძე |
| 09.05.01 | ამ | შ | აზერბაიჯანი | 1:0 | იონანიძე |
| 02.06.01 | მჩშ | შ | იტალია | 1:2 | გახოკიძე |
| 06.06.01 | მჩშ | ს | უნგრეთი | 1:4 | კობიაშვილი |
| 15.07.01 | ამ | ს | ლუქსემბურგი | 3:0 | დემეტრაძე 2, ალექსიძე |
| 01.09.01 | მჩშ | შ | უნგრეთი | 3:1 | შ. არველაძე, ჯამარაული, იაშვილი |
| 05.00.01 | მჩშ | შ | ლიტვა | 2:0 | იაშვილი 2 |

**სულ: 76 თამაში, 28 მოგება, 12 ფრე, 36 წაგება, ბურთები 101:104**

ამ - ამხანაგური მატჩი, ეჩშ - ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მჩშ - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მტ, კტ - მალტის, კვიპროსის ტურნირი

| სახელი გვარი | ამპლუა | დაბადების თარიღი | კლუბი | ამხანაგური მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 96-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 98-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 2000-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 2002-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | სულ: თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ნემსაძე | ნ | 10.05.72 | დანდი (შოტლანდია) | 30 | 0 | 4 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 0 | 3 | 0 | 9 | 0 | 3 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 58 | 0 | 13 | 0 |
| თემურ ქეცბაია | ნ | 18.03.68 | ვულვერჰემპტონი (ინგლისი) | 23 | 8 | 4 | 0 | 7 | 4 | 1 | 0 | 8 | 2 | 0 | 0 | 6 | 1 | 1 | 0 | 5 | 2 | 0 | 0 | 49 | 17 | 6 | 0 |
| გოჩა ჯამარაული | ნ | 23.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 25 | 5 | 2 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 49 | 6 | 3 | 0 |
| გიორგი ქინქლაძე | ნ | 06.07.76 | დერბი ქაუნთი (ინგლისი) | 18 | 3 | 0 | 0 | 9 | 3 | 1 | 0 | 7 | 1 | 1 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 1 | 0 | 0 | 44 | 8 | 2 | 1 |
| მიხეილ ყაველაშვილი | თ | 22.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 20 | 6 | 4 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 1 | 6 | 1 | 2 | 0 | 7 | 0 | 0 | 0 | 43 | 9 | 7 | 1 |
| შოთა არველაძე | თ | 22.02.73 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 16 | 5 | 0 | 0 | 10 | 4 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 | 5 | 3 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 42 | 15 | 0 | 0 |
| ლევან კობიაშვილი | მ | 10.07.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 14 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 7 | 1 | 0 | 0 | 35 | 1 | 3 | 0 |
| არჩილ არველაძე | თ | 22.02.73 | კიოლნი (გერმანია) | 14 | 3 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 1 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 32 | 6 | 2 | 0 |
| კახა კალაძე | მ | 22.02.78 | მილანი (იტალია) | 11 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 9 | 0 | 3 | 0 | 7 | 0 | 0 | 0 | 30 | 0 | 4 | 1 |
| მურთაზ შელია | მ | 25.03.69 | ლოკომოტივი | 13 | 0 | 4 | 0 | 9 | 0 | 2 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 29 | 0 | 7 | 0 |
| კახა გოგიჩაიშვილი | ნ | 31.10.68 | ლოკომოტივი | 12 | 1 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 27 | 1 | 2 | 0 |
| კახა ცხადაძე | მ | 07.09.68 | ლოკომოტივი | 13 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25 | 1 | 5 | 0 |
| გიორგი ჩიხრაძე | მ | 01.10.67 | ჰაპოელი (ბეით შანი, ისრაელი) | 10 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 24 | 0 | 4 | 1 |
| დავით გვარამაძე | მკ | 08.11.75 | ტორპედო | 11 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 22 | 0 | 0 | 0 |
| ლევან სილაგაძე | მ | 04.08.76 | ტორპედო | 16 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 21 | 0 | 3 | 0 |
| დიმიტრი კუდინოვი | მ | 08.02.63 | თამაში მიატოვა | 12 | 1 | 2 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 20 | 1 | 4 | 0 |
| ლევან ცქიტიშვილი | მ | 10.10.76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 11 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 20 | 1 | 2 | 0 |
| გელა შეყილაძე | მ | 14.09.70 | ლიერსი (ბელგია) | 10 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 3 | 0 |
| ირაკლი ზოიძე | მკ | 21.03.69 | დინამო | 9 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი დემეტრაძე | თ | 26.09.76 | რეალ სოსიედადი (ესპანეთი) | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 | 18 | 2 | 1 | 0 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | მ | 06.10.81 | დანდი (შოტლანდია) | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 7 | 0 | 0 | 0 | 17 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი გახოკიძე | ნ | 09.11.77 | პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 16 | 2 | 3 | 0 |
| აკაკი დევაძე | მკ | 28.11.71 | მერანი | 8 | 0 | 0 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | 0 | 1 | 0 |
| ნუგზარ ლობჟანიძე | მ | 07.09.71 | თამაში მიატოვა | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 4 | 0 |
| გივი დიდავა | მ | 26.03.76 | ტორპედო | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 2 | 0 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | მკ | 26.04.71 | ტომი (ტომსკი, რუსეთი) | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 0 | 0 |
| რევაზ არველაძე | ნ | 15.09.69 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 | 1 | 1 | 0 |
| ზაზა რევიშვილი | მ | 23.09.68 | თამაში მიატოვა | 7 | 0 | 1 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 | 0 | 1 | 0 |
| ალექსანდრე იაშვილი | თ | 23.10.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 7 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 3 | 0 | 0 | 11 | 5 | 1 | 0 |
| რატი ალექსიძე | თ | 08.09.78 | ჩელსი (ინგლისი) | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 11 | 1 | 1 | 0 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ნ | 06.08.74 | სკონტო (ლატვია) | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 2 | 1 | 11 | 0 | 2 | 1 |
| დავით ჯანაშია | თ | 07.08.72 | ლოკომოტივი | 8 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 3 | 2 | 0 |
| გიორგი კიკნაძე | ნ | 26.04.76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 5 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 1 | 1 | 0 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | ნ | 30.01.80 | სკონტო (ლატვია) | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 10 | 1 | 0 | 0 |
| გელა ინალიშვილი | ნ | 03.10.66 | თამაში მიატოვა | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| თენგიზ სიჭინავა | ნ | 15.05.72 | ბალტიკა (რუსეთი) | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 1 | 0 |
| იოსებ გრიშიკაშვილი | მკ | 21.12.72 | დინამო | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| ზაზა ჯანაშია | თ | 10.02.76 | ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 | 4 | 2 | 1 |
| გოჩა გოგრიჭიანი | თ | 12.08.64 | ორიოლი (რუსეთი) | 3 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 |
| გიორგი დარასელია | ნ | 17.09.68 | ჰაპოელი (ქვარ სავა, ისრაელი) | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| დავით ყიზილაშვილი | თ | 12.12.70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| გია ჯიშკარიანი | ნ | 30.11.67 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 1 | 1 | 0 |
| მამუკა წერეთელი | მ | 17.01.79 | ლიერსი (ბელგია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 |
| რევაზ ქემოკლიძე | მ | 13.03.79 | ტორპედო | 8 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 3 | 0 |
| ბესიკ ბერაძე | მ | 20.02.68 | სამგურალი | 5 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ლუდუშაური | ნ | 18.02.73 | უგუნდო | 4 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ აშვეთია | თ | 10.11.77 | კოპენჰაგენი (დანია) | 5 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 | 2 | 0 | 0 |
| სევასტი თოდუა | მ | 13.05.76 | ტორპედო | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 |
| კახა სიდამონიძე | მ | 17.04.71 | სიონი | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| ვალტერ გუჩუა | მ | 06.07.75 | ტორპედო | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 |
| გია გურული | თ | 20.05.64 | თამაში მიატოვა | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 |
| დავით ცომაია | ნ | 04.09.67 | უგუნდო | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ ფოფხაძე | მ | 02.06.72 | ალანია (რუსეთი) | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი კილასონია | ნ | 09.09.68 | ნეფთჩი (ბაქო, აზერბაიანი) | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ ფოცხვერია | თ | 12.08.75 | მერანი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| ედიკ საჯაია | მ | 16.02.81 | ტორპედო (მოსკოვი, რუსეთი) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| ვალერი აბრამიძე | მ | 17.01.80 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| კახა კაჭარავა | თ | 19.09.66 | თამაში მიატოვა | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 |
| მიხეილ ჯიშკარიანი | თ | 01.11.69 | თამაში მიატოვა | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| ზურაბ იონანიძე | თ | 02.12.71 | ტორპედო | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| მამუკა მაჭავარიანი | მ | 27.11.70 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ვასილ სეფაშვილი | თ | 17.02.69 | ჟენისი (ასტანა, ყაზახეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| თემურ ტუღუში | თ | 24.02.72 | ბათუმი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ზვიად ჯელაძე | მ | 16.12.73 | ბალტიკა (რუსეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მელორ ბიგვავა | თ | 17.01.63 | აისბახტალი (გერმანია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჭიჭვეიშვილი | ნ | 23.01.75 | ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გია ჩხაიძე | მ | 23.02.70 | ბათუმი | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი ბალაშვილი | მ | 07.08.73 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| დავით ჩალაძე | თ | 22.01.76 | სკონტო (ლატვია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ჭანკოტაძე | მ | 04.10.77 | ვიტ ჯორჯია | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ლომაია | მკ | 08.08.79 | ლოკომოტივი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| გია ფირცხალავა | მ | 03.01.65 | თამაში მიატოვა | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ ძოძუაშვილი | თ | 04.11.80 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| კახა კვეტენაძე | ნ | 03.06.70 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ვაჟა თარხნიშვილი | მ | 26.08.71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| შალვა ხუჯაძე | მ | 05.10.75 | ბათუმი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გივი კვარაცხელია | მ | 11.05.79 | სკონტო (ლატვია) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჯანელიძე | მკ | 09.02.73 | უგუნდო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ყიფიანი | ნ | 12.08.78 | ჰ.კირიათ გათი (ისრაელი) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ლევან მელქაძე | თ | 12.12.79 | სიენა (იტალია) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ბადრი ახვლედიანი | მ | 19.10.70 | კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | მ | 26.06.81 | როსტსელმაში (რუსეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| მალხაზ ასათიანი | ნ | 04.08.81 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი შაშიაშვილი | მ | 01.09.79 | დინამო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ვლადიმერ ბურდული | ნ | 26.02.80 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| მალხაზ არზიანი | მ | 15.08.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ასლან ბალაძე | მკ | 18.04.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| იური გაბისკირია | ნ | 01.09.68 | სპარტაკი (ნალჩიკი, რუსეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი გემეზაშვილი | მ | 06.07.77 | პლაუენი (გერმანია) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა გუჯაბიძე | მ | 07.07.71 | მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი დავითნიძე | მ | 18.07.78 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ირაკლი ვაშაკიძე | მ | 13.03.76 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| როსტომ თორღაშვილი | ნ | 15.12.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გელა კეტაშვილი | მ | 27.09.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ კორღალიძე | თ | 02.09.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| თემურ კაბისაშვილი | მ | 13.09.67 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | თ | 02.11.78 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ კაციტაძე | მ | 25.02.63 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი მეგრელაძე | თ | 21.07.78 | იანინა (საბერძნეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა მონასელიძე | ნ | 02.01.77 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ამირან მუჯირი | ნ | 20.02.74 | მარეკი (ბულგარეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
რაილი ცნობილია როგორც მეტად მომთხოვნი, პრაგმატიკოსი კაცი, რომელიც არასოდეს აგებდა და აგებს გუნდის თამაშს ერთი რომელიმე ვარსკვლავის შესაძლებლობებზე. მეტიც, რაილი ყოველთვის „ფიზიკოსებს“ ამჯობინებდა „ლირიკოსებს“.

ამის გათვალისწინებით, ერთგვარად მოულოდნელიც კი ჩანს მის მიერ სტეფანიას არჩევა, რადგან ეს უკანასკნელი უფრო შემოქმედი ცენტრია, ვიდრე ცივი და მკვლელი გოლიათი, ვთქვათ იმ სტილისა, როგორიც „მაიამის“ ლიდერი ალონზო მურნინგი გახლავთ. თუმცა, ამ პრობლემის გარჩევა ნაადრევია და ავანტიურასაც ჰგავს. რაილი უდიდესი მწვრთნელია და მისი ფიქრების ამოცნობა მარჩიელობა იქნებოდა.

სასიხარულო ის არის, რომ სტეფანია ამ დიდი კაცის ხელში (თუ გუნდში) მოხვდა და მურნინგის შემცვლელად მოიაზრება. მურნინგი ტრავმებითა და სერიოზული დაავადებით გაწვალებული ვარსკვლავია და წლევანდელი სეზონის პირველი ნახევარი მაინც გასახურებლად დასჭირდება. მის შემცვლელად შეძენილ ერნესტ ბრაუნს ტრავმა აქვს, აქედან კი იმაზე ფიქრიც შეიძლება, რომ სტეფანიას ნალდ, მძიმე ბრძოლებში ჩართვა მოუწევს, ნბა-ს ერთ-ერთი უძლიერესი ხუთეულის შემადგენლობაში და უძლიერესი მწვრთნელის თავკაცობით ითამაშებს.

უარესი გაგრძელებაც არ არის უარესი: „მაიამის“ სკამზე ჯდომა და რაილის ხელქვეით ვარჯიში ბევრად საინტერესო ჩანს კალათბურთელისთვის, ვიდრე ევროპაში თამაში, თანაც, წინ ახალი შესაძლებლობაა იმისა, რომ სტეფანიამ ახალი ძალით დაიმკვიდროს თავი დიდი კალათბურთის სამყაროში.

**გიო ახვლედიანი**



ვლადიმერ სტეფანიას ახალი და დიდი შანსი მიეცა

# საპრეზიდენტო პროგრამა მზადაა

## ლიპარტელიანი ბოლო დღეს გადაწყვეტს



*კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებამდე რვა დღეღა დარჩა, თუმცა ფედერაციაში ამ პოსტზე კენჭისყრის მსურველის არც ერთი განაცხადი არ შესულა. შესაბამისად, ჯერჯერობით არც პრეზიდენტობის კანდიდატი არსებობს, არადა, რეგისტრაციის გავლისა და სამუშაო პროგრამის წარდგენის ბოლო ვადა 8 ოქტომბერია.*

*პრეზიდენტობის მსურველნი არ ჩქარობენ თავიანთი სურვილის ოფიციალურად გაცხადებას, თუმცა კალათბურთში მოტრიალე ხალხს რა გამოეპარება. მიხეილ ქორქიას ფედერაციის თავკაცობის სურვილზე ჯერ კიდევ ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა გოგი ქათამაძემ განაცხადა „სარბიელთან“ ინტერვიუში, ხოლო ბავშვთა კალათბურთის აკადემიის ხელმძღვანელის, ბესიკ ლიპარტელიანის გაპრეზიდენტებაზე ქართულ კალათბურთში ჩახედული ხალხი მანამდეც ლაპარაკობდა.*

*ეს ინტერვიუ სულ სხვა შინაარსის უნდა ყოფილიყო და ბესიკ ლიპარტელიანთან, როგორც თსუ-ს მთავარ მწვრთნელთან, ისე უნდა გვესაუბრა, მაგრამ ბავშვთა კალათბურთის აკადემიის დარბაზში რომ მივედი და ბატონ ბესიკს გავესაუბრე, გეგმა შევცვალე, რადგან მან თქვა, თსუ-ზე ჯერ-ჯერობით ვერაფერს გეტყვით, ვინაიდან შესაძლოა გუნდის მწვრთნელი აღარ ვიყოო და მიზეზად კარსმომდგარი საპრეზიდენტო არჩევნები დაასახელა.*

**— გამოდის, ფედერაციის პრეზიდენტობა გსურთ...**

— დღეს ამას გადაჭრით ვერ გეტყვით, რადგან არსებობს ორი საკითხი, რომელთაც ვერ დავასახელებ და რომელთა გადაუჭრელობამ, შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებში ჩემს მონაწილეობას ხელი შეუშალოს. გარდა ამისა, მე კარგად მაქვს გაცნობიერებული, თუ რა მნიშვნელოვანია ეს თანამდებობა. არ მინდა და არც მოხდება, რომ ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში საქმე არ გაკეთდეს, ქათამაძის დროს კი სწორედ ასე იყო. მე რასაც ვიტყვი, იმას შევასრულებ. პრეზიდენტობას საბოლოოდ თუ გადავწყვეტ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ქართულ კალათბურთში შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად მოხდება.

**— პრეზიდენტობის კანდიდატმა თავისი პროგრამა უნდა წარმოადგინოს, არჩევნებამდე კი დღეებიღა დარჩა.**

— პროგრამა კარგა ხანია, შევადგინე. ის ჯერ კიდევ აპრილში დაგეგმილი არჩევნების წინ იყო მზად. მერე არჩევნები გადადეს და ჩემმა პროგრამამაც ამ ხნის განმავლობაში ქართულ კალათბურთში მომხდარი მოვლენების შესაბამისად ცვლილებები განიცადა.

**— რა იქნება თქვენი პროგრამის ამოსავალი წერტილი, ანუ პრეზიდენტობის შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორებას რითი დაიწყებთ?**

— არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში ჩემს სამოქმედო პროგრამას ყრილობის ყველა დელეგატს საკუთარი ხელით დავურიგებ და პრესაშიც გამოვაქვეყნებ. ვინაიდან ახლა უახლოესი ორი წლის მანძილზე სანაკრებო დონეზე ევროპისგან სრულიად იზოლირებულნი ვართ, ჩემი აზრით, ყურადღების დიდი ნაწილი ეროვნულ ჩემპიონატზე და მისი სრულყოფისა და დონის ამაღლებისკენ უნდა იქნას მიმართული. მასთან ერთად ბავშვთა კალათბურთსაც უნდა მივხედოთ. ოთხი წლის მანძილზე, რაც მე ნაკრების მწვრთნელობას ჩამოვშორდი, ამ საქმეში ვარ. კარგად ვიცი, თუ რა ხდება იქ. ჩვენი აკადემია მხოლოდ ორი წელია, არსებობს და მასში 150 ბავშვი ვარჯიშობს. ამ მცირე ხნის მანძილზე მჭიდრო კონტაქტები დავამყარეთ სხვადასხვა ქვეყნების ბავშვთა სკოლებთან და მიმაჩნია, რომ ამ საქმის გამოსასწორებლად ფედერაციასაც ბევრის გაკეთება მართებს. სწორედ ეს და საერთოდ ბავშვების სწორი აღზრდა და კალათბურთელებად ჩამოყალიბება უნდა გავიხადოთ ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტად. ასევე მოსაგვარებელია გადაზრდილთა საკითხი. არ უნდა ხდებოდეს, რომ საერთაშორისო დონეზე საქართველოს ნაკრებში დაშვებულ ასაკზე სამი, ოთხი და ხუთი წლით უფროსები თამაშობდნენ. ამით შეიძლება რამე შედეგს კი მიაღწიო, მაგრამ თვითონ კალათბურთელებს უფუჭდებათ საქმე და არასწორად ვითარდებიან.

**— ყოფილი პრეზიდენტი ნაკრების წარუმატებლობას უსახსრობას აბრალებდა. თქვენ როგორ მიგაჩნიათ, წარმატების თავიდათავი ფინანსებია?**

— მეც იმ აზრზე ვარ, რომ უფულოდ ვერაფერს გააკეთებ. ნაკრების მწვრთნელობა მეც გამოვლილი მაქვს და ვიცი, უსახსრობა რა არის. თუ გუნდს ამხანაგურ მატჩებში გამოცდის საშუალება არ მიეცი, მას გამარჯვებას ვერ მოსთხოვ. ამიტომაც მივიღეთ ასეთი შედეგი, მაგრამ არ მივიჩნევ, რომ მდგომარეობის შესაცვლელად მილიონებია საჭირო. აი, მაგალითად, ჩვენ რომ იმ სახსრების 10 პროცენტი გვქონდეს, რომელსაც ფეხბურთის ფედერაცია ფლობს, მერწმუნეთ, საქმე საგრძნობლად გამოსწორდებოდა.

**— თქვენს შესაძლო კონკურენტებზე თუ იცით რამე?**

— როგორც გავიგე, მიხეილ ქორქიას ჰქონია პრეზიდენტობის სურვილი. მე ყველას მივესალმები, ვინც სუფთა სინდისით მოდის კალათბურთში და თითოეულ მათგანს ღირსეულ მეტოქედ მივიჩნევ, თუ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტობას გადავწყვეტ.

**— საბოლოოდ როდის გაირკვევა ეს?**

— ამ კითხვას რვა ოქტომბერს გაეცემა პასუხი.

**ირაკლი ბერტაია**

## კორაჩის თასი

**I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები. 2-3 ოქტომბერი**

*(ფრჩხილებში პირველი მატჩების შედეგებია)*

**რიეკა (ხორვატია)** — *კაპოშვარი (უნგრეთი)* 65:80 (73:90)

*კლაგენფურტი (ავსტრია)* — სერავალე (სან მარინო) 92:65 (76:54)

*სლოვანი (სლოვენია)* 123:31 ფაეტანო (სან მარინო)

სლოვანი: ფრირსონი (7), კოვაჩი (4), პალაჩიჩი (18), ტუღუში (25 წუთი, 16 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), ს. უდრიპი (28), უგრეხელიძე (25 წუთი, 26 ქულა, 12 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა), ზაგორაცი (16), ჟაკელი (6), ჟუპანი (2)

ფაეტანო: ბარული (2), ბატისტინი (12), ბელინი (3), კონტი, ჯორჯეტი (10), ჯულიანელი (4), გრეგორი, პელიჩონი, როსტი, ვაზარი

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მომდევნო ეტაპზე*

**II საკვალიფიკაციო ეტაპი. 17-24 ოქტომბერი**

კლაგენფურტი (ავსტრია) — სკალიგერა (იტალია)
შიროკი (ბოსნია) — მარუსი (საბერძნეთი)
ოლივეირენსე (პორტუგალია) — შალონი (საფრანგეთი)
ლიეჟი (ბელგია) — რასინგი (საფრანგეთი)
მაკაბი (თბილისი, საქართველო) — ავტოდორი (რუსეთი)
ამიკალი (ლუქსემბურგი) — პორტუ (პორტუგალია)
კაპფენბერგი (ავსტრია) — ჰემოფარმი (იუგოსლავია)
აპოლონი (კვიპროსი) — პაოკ (საბერძნეთი)
ეურასი (რუსეთი) — ფირენბაჰჩე (თურქეთი)
კაპოშვარი (უნგრეთი) — მაზოვიეჩკი (პოლონეთი)
სპარტა (ჩეხეთი) — პივოვარნა (სლოვენია)
ეტცელა (ლუქსემბურგი) — დიჟონი (საფრანგეთი)
ოპავა (ჩეხეთი) — ზაგრები (ხორვატია)
აეკ (კვიპროსი) — მაკაბი (რამატ განი, ისრაელი)
აკადემიკი (ბულგარეთი) — ხიმკი (რუსეთი)
სლოვანი (სლოვენია) — ზრინიევაცი (ხორვატია)
მადეირა (პორტუგალია) — ფორუმი (ესპანეთი)
ბინგოლი (ბელგია) — ფუენლაბრადა (ესპანეთი)
მონსი (ბელგია) — ჰერცოგტელი (გერმანია)
დებრეცენი (უნგრეთი) — მლეკარნა (ჩეხეთი)
ეიფელ თაუერზი (ჰოლანდია) — ანტვერპენი (ბელგია)
ზდრავლიე (იუგოსლავია) — ბეშიქთაში (თურქეთი)
რასინგი (ლუქსემბურგი) — ბაიერი (გერმანია)
აპოელი (კვიპროსი) — რაანანა (ისრაელი)
ლიმასოლი (კვიპროსი) — როზეტო (იტალია)
ბრაუნშვაიგი (გერმანია) — ნანსი (საფრანგეთი)
ავიტოსი (გერმანია) — ოვარენსე (პორტუგალია)
ბრნო (ჩეხეთი) — პროკომი (პოლონეთი)
არადი (რუმინეთი) — ლოკომოტივი (რუსეთი)
ზენიცა (ბოსნია) — ბუიუქ კოლეჯი (თურქეთი)
კონტერნი (ლუქსემბურგი) — სენტ პოლტენი (ავსტრია)
ატომეროშუ (უნგრეთი) — დონა (ხორვატია)

# მარატ ჭკუის მასწავლებელი

**მოსკოვი (რუსეთი). „კრემლის თასი“**
**საპრიზო 2,185 მილიონი $**

ძალიან სიმპათიური საპრიზო ფონდი აქვს „კრემლის თასს“. 2 მილიონზე მეტი დოლარით ერთეული ტურნირები თუ დაიკვეხნიან. ეს, ფაქტობრივად, „მასტერსის“ დონეა, მაგრამ შემადგენლობა იმავე „მასტერსს“ ვერაფრით გაუტოლდება. ჩამოთვლა საჭირო არ არის, ტექნიკური შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ ტურნირს მთლად უმაღლესი ელიტის ვაჟიც ბევრი აკლია და ქალიც.

რაც მთავარია, ქალთა შორის ვხედავთ მსოფლიოს პირველ ჩოგანს, მარტინა ჰინგისს. ამ ბოლო ხანებში ჰინგისმა იმდენჯერ წააგო, არ შეიძლება ჩოგბურთელთა კლასიფიცირების პრინციპებს კრიტიკულად არ შევხედოთ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: 200 კვირა კარგა ხნის წინ გაილია, რაც ჰინგისი ჩოგბურთის ტახტზე ანუ რეიტინგ-ლისტის სათავეში ზის. მოსკოვში ჰინგისმა მეოთხედფინალს პირველ შა და თითქმის უპრობლემოდ უწია.

„თითქმის“ ნიშნავს, რომ ჰინგისს გამარჯვება მთლად სეირნობით არ მოსვლია. იგი ეთამაშა ჩეხ სანდრა კლეინოვას, რომელიც ჩოგბურთის რანგთა ტაბელში 135-ეა. პირველი სეტის ერთ მონაკვეთში ანგარიში 5:5 იყო, კლეინოვა ტოლ-სწორად და თავგანწირვით ებრძოდა შვეიცარიელს.

ჰინგისმა თამაში სწორედ ამ დროს გარდატეხა. მან კლეინოვას მოწოდება აართვა, თავისი მოიგო და მეორე სეტშიც 5:1 დაწინაურდა. მატჩის დაწყებიდან 63 წუთის თავზე ჰინგისმა მეტოქის მილოცვა მიიღო და პრესკონფერენციაზე მის მიმართ ქება არ დაიშურა. „მას ჰქონდა გარკვეული უპირატესობა — თქვა ჰინგისმა კლეინოვას შესახებ — საკვალიფიკაციო ეტაპებსა და პირველ წრეში 4 მატჩი ითამაშა, ჩემთვის კი პირველი იყო. ადრე არასოდეს შევხვედრივართ და გამიკვირდა, ასეთ კარგ მოთამაშეს რომ წავაწყდი. მხოლოდ ძლიერი პირველი მოწოდებების ხარჯზე მოვერიე“.

მეოთხედფინალში ჰინგისი უცდის ან ელენა დემენტიევას ან ალექსანდრა სტივენსონს და აცხადებს, რომ მისთვის ორივე ერთია, ორივესთან ერთნაირად მძიმე ბრძოლა ელის.

შვეიცარიელმა ანა კურნიკოვაზეც ილაპარაკა კერძოდ, სინანული გამოთქვა მისი ტრავმის გამო და ბოლოს დასძინა, როგორც კი ანა სრულად გამოკეთდება, ჩვენ წყვილებში თამაშს გავაგრძელებთო.

კურნიკოვაზე ამბობენ, გუშინწინდელი დამარცხებისთანავე ჰოსპიტალს მიაშურაო.

„კრემლის თასზე“ ვაჟები ცალკე შრომობენ. რუსთა კერპი მარატ საფინი ბელარუს მაქს მირნის შეხვდა და ნერვიული შეხვედრა გაჭირვებით მოიგო.

საფინს კორტზე მირნის ქცევა არ მოსწონებია და ეს პრესკონფერენციაზე აღნიშნა. „ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, წყვილებში პარტნიორები ვიყავით, მაგრამ ახლა მისთვის ჭკუა უნდა მესწავლებინა და ვასწავლე კიდეც“ — თქვა საფინმა.

მირნიმ პირველი სეტი მეტოქეს მოუგო და მეორეშიც 2:2-ზე ჯერ კიდევ არაფერი იყო გარკვეული: მოწოდება ბელარუსისა გახლდათ. ამ დროს მას უცაბედად ეშმა შეუჯდა და მარცხი შეამთხვია. კერძოდ, მირნიმ მე-5 გეიმში თავისი ყველა(!) პირველი მოწოდება გააფუჭა და ორჯერ ორმაგი შეცდომაც დაუშვა. მატჩის ბედი იქვე გადაწყდა, საფინმა მეორე და მესამე პარტიები მოიგო.

შვეიცარიელმა ვეტერანმა მარკ როსემ კრემლის თასი 1992 და 1993 წლებში მოიგო. ახლაც აპირებს და საამისოდ პირველ წრეში მეტად დრამატული მატჩი მოიგო. იხილეთ წერილის ტექნიკური ნაწილი.


REUTERS ტოკიოდან

მაიკლ ჩანგისთვის ტურნირი დასრულდა

**ვაჟები**

**პირველი წრე. მარატ საფინი (2, რუსეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 5:7, 6:4, 6:4; მარკ როსე (შვეიცარია) — ნენად ზიმონჯიჩი (იუგოსლავია) 6:4, 6:7(4:7), 7:6 (13:11); ტომი ჰაასი (4, გერმანია) — ბობ ბრაიანი (აშშ) 6:2, 6:4; გილერმო კანასი (7, გერმანია) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:0, 6:1; დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) 7:5, 6:4**

**მეორე წრე. ტომას იოჰანსონი (5, შვედეთი) — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 6:3, 6:4; მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:4**

**ქალები**

**პირველი წრე. სილვია ფარინა ელია (6, იტალია) — მარტინა სუხა (შვეიცარია) 6:3, 6:2; მაგდალენა მალეევა (7, ბულგარეთი) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:3, 7:5; ბარბარა შეტი (ავსტრია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:1, 6:4**

**მეორე წრე. მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 7:5, 6:2; ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) — ნატალი ტოზია (4, საფრანგეთი) 6:4, 5:7, 7:5**

**ტოკიო. იაპონიის ღია პირველობა**
**საპრიზო 970 ათასი $**

იაპონიის ღია პირველობის მეორე წრეში ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუტმა საჩქაროდ, 6:1, 6:1 მოუგო ამერიკელ მაიკლ რასელს და მეოთხედფინალში გავიდა. არადა, მეტოქეს იგი ცოტათი უფრთხოდა, რადგან ახსოვდა წლევანდელი „როლან გაროსი“, სადაც რასელმა გუსტავო კუერტენს კინაღამ მოუგო.

„კარგი ჩოგბურთელია, მაგრამ გასაქანი არ მივეცი“ — თქვა ჰიუიტმა. ხაზიდან ზუსტი დარტყმებით ჰიუიტმა სწრაფად გამოკვეთა თავისი უპირატესობა, პირველ მოწოდებაზე ქულათა 78 პროცენტი მოიპოვა, მეორეზე — 92 და მოკლედ, მთელ მის გამარჯვებას 52 წუთი დასჭირდა. წინა წრის თამაშიც ჰიუიტმა 49 წუთში მოიგო — ძალიან აწყვეტილია. იგი ტოკიოს მას მერე ეწვია, რაც თავისი სამშობლოს ნაკრები დევისის თასის ფინალში გაიყვანა.

ქალთა განყოფილებაში ყველაზე ტიტულიანია მონიკა სელეში და იგი ჯერჯერობით მძლავრობს. მესამე წრეში „არიაკე კოლიზეუმის“ ცენტრალური კორტის ტრიბუნიდან 3138 მაყურებელი უცქერდა იმას, თუ როგორ გაანადგურა სელეშმა იტალიელი რიტა გრანდე.

**ვაჟები**

**მესამე წრე. სხენგ შალკენი (2, ჰოლანდია) — ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) 6:2, 6:4; ტაკაო სუზუკი (იაპონია) — მაიკლ ჩანგი (6, აშშ) 7:6(7:3), 6:2; ფრანსისკო კლავეტი (8, ესპანეთი) — ნიკოლა მასუ (11, ჩილე) 6:3, 6:4; მიხაელ კრატოხვილი (5, შვეიცარია) — ლარს ბურგსმიულერი (9, გერმანია) 6:3, 6:2; ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — მაიკლ რასელი (აშშ) 6:1, 6:1; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — რაინერ შუტლერი (3, გერმანია) 6:2, 6:2; ჯეიმს ბლეიკი (აშშ) — იონას ბორკმანი (4, შვედეთი) 6:1, 7:5**

**ქალები**

**მეორე წრე. საორი ობატა (იაპონია) — მარლენ ვაინგარტნერი (5, გერმანია) 6:1, 5:7, 6:3; ვინე პრაკუსია (ინდონეზია) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 6:1, 1:6, 7:5; ჯოანეტ კრიუგერი (8, სამხრეთ აფრიკა) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 4:6, 6:3, 7:6(7:3); ტამარინ ტანასუგარნი (2, ტაილანდი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 4:6, 6:4, 6:3**

**მესამე წრე. აი სუგიამა (3, იაპონია) — პავლინა ნოლა (ახალი ზელანდია) 6:1, 6:4; მონიკა სელეში (1, აშშ) — რიტა გრანდე (6, იტალია) 6:1, 6:2**

**დავით გულუა**


REUTERS მოსკოვიდან

მარტინა ჰინგისს ცოტა გაუჭირდა, მაგრამ მომდევნო წრეში მაინც გავიდა



# ფრანგებს და საფრანგეთს შორის სამხრეთ აფრიკა

**საქართველოს** მორაგბეთა ეროვნული ნაკრების გამარჯვებებმა და ევროპის ერთა თასის მოგებამ გვარიანად აამაღლა ბორჯღალოსანთა რეიტინგი. ახლა ხელწამოსაკრავ მეტოქედ აღარავინ აღგვიქვამს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაკრებისთვის სპარინგ-პარტნიორის გამოძებნა უწინდელივით დიდ სირთულეებთან აღარ არის დაკავშირებული და ავტორიტეტულ ფედერაციებთან ტოლ-სწორად შეგვიძლია თანამშრომლობა.

საქართველოს რაგბის კავშირი ისედაც მჭიდროდ თანამშრომლობდა ფრანგულ მხარესთან, რისი დასტურიც საფრანგეთის ჩემპიონატში თითქმის შვიდ ათეულამდე ქართველი ლეგიონერის ასპარეზობაა, ახლა კი ურთიერთობა სანაკრებო დონეზეც გაგრძელდა.

11 ნოემბერს თვით საფრანგეთის ნაკრები გვეწვევა, ოღონდ ამჯერად ფრანგები „ა“ ნაკრებს გამოგზავნიან ბორჯღალოსანთა შესამოწმებლად. ცნობისთვის, „ა“ ნაკრები ბევრით არ ჩამოუვარდება ფრანგების საამაყო დიდ ნაკრებს. მასში ეროვნული გუნდის კანდიდატები თამაშობენ. შეხვედრა ქვეყნის უპირველეს სპორტულ სარბიელზე, ეროვნულ სტადიონზე გაიმართება.

ამ მატჩიდან ორი კვირის თავზე ბორჯღალოსანთა „ა“ ნაკრები გეზს საფრანგეთისკენ, კერძოდ ტულუზისკენ აიღებს. იქ ქართველთა მეორე ეშელონი გაეჯიბრება მაროკოს „ა“ ნაკრებს, აფრიკელებმა ოფიციალური დასტური უკვე წერილობით აფრინეს საქართველოს რაგბის კავშირში.

არ არის გამორიცხული, ის კი არა, სიმართლესთან უფრო ახლოა, რომ ამ ორ მატჩს შორის ბორჯღალოსნებმა კიდევ ერთი შეხვედრა გამართონ სამხრეთ აფრიკის 23-წლამდელებთან. ნოემბერში ახალგაზრდა „ქურციკებს“ ევროპული ტურნე აქვთ დაგეგმილი. ჰოდა, საქართველოს რაგბის კავშირის მესვეურებმაც არ დააყოვნეს და აფრიკელები შინ მოიპატიჟეს. როგორც ჩანს, „ქურციკების“ უფროსობას ჭკუაში დაუჯდა ქართული მხარის წინადადება, ვინაიდან მათ მიერ შედგენილ კალენდარში თბილისური მატჩიც ფიგურირებს. საქართველო — საფრანგეთის „ა“ ნაკრებების მატჩის შემდეგ ფრანგები 14 ნოემბერს სწორედ სამხრეთ აფრიკის 23-წლამდელებს ეთამაშებიან. სამი დღის შემდეგ, 17 ნოემბერს, აფრიკელებს თბილისში ჩამოსვლა აქვთ დაგეგმილი, 20 ნოემბერს კი ინგლისის „ა“ ნაკრებთან აპირებენ შებმას.

ჯერჯერობით შავი კონტინენტიდან ოფიციალურად თანხმობა არ მოსულა. მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებაა მიღწეული. ეს დაგვიდასტურა კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემაც. ოფიციალურად ყველაფერს ნათელი მაშინ მოეფინება, როდესაც აფრიკელები ქართველების მიერ გაგზავნილ წერილს უპასუხებენ და კავშირის ოფისში ხელმოწერილ და ბეჭედდარტყმულ დოკუმენტს გამოგზავნიან.

**ბაჩო სვანიძე**

# აია ძლიერდება, მაგრამ...

**ჩვენისა** არ იყოს, რუსეთის ჩემპიონატშიც კარგა ხნის დასრულებულია წინასწარი ეტაპი და ახლა სუპერლიგას ოთხი კლუბიღა შემორჩა. მედლებისათვის ბრძოლას კრასნოიარსკის „კრასნი იარი“ და „სიბტიაჟმაში“, ქალაქ პენზის და მონინოს სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდები აგრძელებენ. დანარჩენებისათვის სეზონი დამთავრდა და მათ შორის ნოვოკუზნეცკის გუნდისთვის, რომელმაც ამ გაზაფხულს რამდენიმე ქართველი, კერძოდ კი, ქუთაისელი მორაგბე შეიმატა და მათი დახმარებით მეხუთე ადგილი დაიკავა სატურნირო ცხრილში (წინა ჩემპიონატში მეშვიდე იყო).

შეგახსენებთ, რომ ნოვოკუზნეცკის გუნდში, რომლის კონსულტანტიც დუგლას კავთელაშვილია, ირჯებოდნენ ემზარ ძაგნიძე, პაატა ტყაბლაძე, ზურაბ კიკაჩეიშვილი, ზურაბ პაპავა და ვალერი ცნობილაძე. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ აგვისტოში დაშორდა ციმბირელებს. ვალერი საფრანგეთში უნდა გამგზავრებულიყო სათამაშოდ, მაგრამ ხელი შეეშალა და დროებით „აიას“ შეუერთდა.

დღესდღეობით ძაგნიძე, ტყაბლაძე და პაპავა მშობლიურ ქალაქში არიან და „აიაში“ თამაშის სურვილს გამოთქვამენ. ქუთაისური გუნდის ხელმძღვანელობას საწინააღმდეგო არაფერი აქვს და უკვე მოასწრო პაპავას განაცხადში სიაში შეყვანა, უმოკლეს დროში კი ძაგნიძისა და ტყაბლაძის საკითხიც, ალბათ, დადებითად გადაწყდება, ისევე როგორც რუსეთის პირველი ლიგის ბინადარის, კრასნოდარის გუნდიდან წამოსული კარლო მაღლაკელიძისა. ისიც მშობლიურ გუნდში აპირებს დაბრუნებას.

ერთი სიტყვით, ქვეყნის ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე „აიას“ სოლიდური ძალა შეემატება და, ვინ იცის, ქუთაისელებმა, ეგებ, ოქროსათვისაც გაიბრძოლონ. ოღონდ აქ ერთიცაა, გუნდის ექვსი მოთამაშე (კოპალიანი, დავით ბალანჩივაძე, საყვარელიძე, კობა გიორგაძე, მინაძე, ცნობილაძე) დღედღეზე საფრანგეთიდან ელის გამოძახებას. თუ ამ ექვსეულს ჩემპიონატის ჩამთავრება არ დასცალდა, „აიას“ შანსი, რაღა თქმა უნდა, შემცირდება. ვნახოთ...

რაც შეეხება „დათვებთან“ კვირას გასამართ თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩს, როგორც „აიას“ თავკაცმა დიმიტრი ფულარიამ გვაცნობა, ქუთაისელები ბათუმში მეორე შემადგენლობით ჩავლენ სათამაშოდ. „აიას“ საშინაო მატჩი 5:28 აქვს წაგებული.

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**


მია ახალკაცის ფოტო

ემზარ ძაგნიძე „აიას“ უბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# NU



პოლ ფრიმენის ავსტრალიელი სოფტბოლისტები



ჯეიმს ჰიუსტონის მძლეოსანი ტატიანა გრიგორიევა



ჰერბ რიტსის მძლეოსანი კოლინ ჯეკსონი

# ნუდიზმი და ოლიმპიზმი

**ოლიმპიურ** მოძრაობაში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულმა კაცმა იცის, რომ ოლიმპიზმი ძველთაგანვე სპორტის, ხელოვნებისა და კულტურის ერთიანობის ფილოსოფიაა, ოღონდაც, ეს ფილოსოფია ნუდიზმისა და ნიუს გარეშე წარმოუდგენელია.

შიშველი სხეულის კულტი იმთავითვე გამეფებული იყო ძველ საბერძნეთში. იმდროინდელი ბავშვები თავიანთ სასწავლებლებში ერთდროულად სწავლობდნენ წერა-კითხვასაც, ეპოსსაც, ლირიკულ პოეზიასაც და ეცნობოდნენ მუსიკის ანბანსაც. ყოველივე ამასთან ულიდეს ყურადღებას აქცევდნენ ფიზიკურ აღზრდას, რაც განსაკუთრებით აქტიური იყო 14-16 წლის მოზარდთა შორის. ამ ასაკის მოზარდები დედიშობილანი სწავლობდნენ და ვარჯიშობდნენ. მათ სასწავლებელსაც, თავისებურ საშუალო სკოლას, ასე ერქვა — „გიმნასია", რაც შიშველს ნიშნავს.

შიშვლები ასპარეზობდნენ ოლიმპიონიკებიც — ოლიმპიური თამაშების მონაწილენი. შიშვლები იყვნენ მორბენლებიც, ბადროსა და შუბის მტყორცნელებიც, მოჭიდავეებიც, მოკრივეებიც. შიშვლები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს „გოპლიტონ დრომოსში" მოპაექრე ოლიმპიონიკებიც, რაც შეიარაღებულ მებრძოლთა ასპარეზობას ნიშნავს. ამგვარად მოპაექრეთა სიშიშვლეს მხოლოდ მუზარადი და ფარი ფარავდა.

ოლიმპიონიკთა ბრძოლას თვალს ადევნებდნენ „ნომოფილაკთა" (შეჯიბრებათა ყველა წესის დამცავ მეთვალყურე ჩინოვნიკთა) განკარგულებაში მყოფი გამწკეპლავნი, რომლებიც ასევე შიშვლები იყვნენ და პირდაპირ სარბიელზე წკეპლებით სჯიდნენ დამნაშავე ათლეტებს.

ბოლოს, კალიპატერას საინტერესო თავგადასავლის მერე ოლიმპიურ თამაშებზე შიშველთა რიგებს შეემატნენ პედოტრიპებიც — ოლიმპიონიკთა მწვრთნელები.

მწვრთნელთა გაშიშვლება განაპირობა იმან, რომ ქალებს ოლიმპიურ თამაშებზე დასწრება ეკრძალებოდათ, მაგრამ კალიპატერამ, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა ამ წესის დარღვევისთვის სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა, მამაკაცურად გადაიცვა და, როგორც პედოტრიპი, სარბიელზე შეიპარა. როცა კალიპატერას ეშმაკობა ამხილეს, დანაშაული შეუნდეს, როგორც ოლიმპიური ტრიუმფატორის შვილიშვილს, ოლიმპიური ჩემპიონების დას, ოლიმპიური გვირგვინოსნის მეუღლესა და ასევე ოლიმპიური ჩემპიონის დედას, რომელიც თავადაც ოლიმპიური ჩემპიონის შვილი იყო.

კალიპატერა შვილს თვითონ ავარჯიშებდა კრივში და სარბიელზე სწორედ მისი ბრძოლების სანახავად შეიპარა. ამის მერე წესად შემოიღეს პედოტრიპთათვის მთლად გაშიშვლება, რომლებსაც მხოლოდ მათთვის განკუთვნილი ადგილიდან შეეძლოთ ასპარეზობის თვალის დევნება.

ანტიკურმა ოლიმპიურმა ნუდიზმმა, ცხადია, სახვით ხელოვნებაშიც ჰპოვა ასახვა. ნიუს ჟანრში მრავალი ბრწყინვალე ნიმუში შეიქმნა.

რომ არა შიშველი სპორტსმენის ფიგურა, ძალზე ღარიბი იქნებოდა პლასტიკური ხელოვნება. შიშველი სპორტსმენის ფიგურა ოდითგანვე ხელოვანთა შთაგონების წყარო ყოფილა. ათლეტის ფიგურა განსაკუთრებით იზიდავდა ანტიკური ხანის საჭრეთლის დიდოსტატებს. დღეს ეს სფერო წარმოუდგენლადაც კი გვეჩვენება მირონის ბადროსმტყორცნელის, ლისიპეს აპოქსიომენის, პოლიკლეტეს დორიფორისა და ანტიკური ხანის სხვა მოქანდაკეთა გარეშე, რომელთა ნამუშევრებითა თუ მათი რომაული ასლებით დამშვენებული მსოფლიოს მუზეუმები, მოედნები, პარკები... ანტიკურ ავტორებს ფანტაზიის მოხმობა სულაც არ სჭირდებოდათ. ხელოვანთა თვალწინ მრავლად იყვნენ ჰარმონიული აღნაგობის ადამიანები, რომლებიც ანტიკური ხანის ოსტატთა „ნატურებს" წარმოადგენდნენ.

შიშველი სპორტსმენის ფიგურას გამოსახავდნენ ფერმწერნი. მას ხოტბას ასხამდნენ პოეტები...

ათლეტის სხეულის სილამაზემ იმთავითვე მიიზიდა ფოტოხელოვანნიც. მათ ერთ ნაწილს თუ მეტად ხიბლავს სპორტსმენთა სახე შეჯიბრების კულმინაციურ მომენტში, მეორენი მოასპარეზის სხეულის მოძრაობაში ხედავენ მშვენიერებას. მაგრამ ამ მშვენიერებას ანტიკური სპორტსმენისგან განსხვავებით ფარავს სამოსი. ამიტომ რამდენიმე ფოტოხელოვანი ანტიკურ შემოქმედთა ნაკვალევს დაადგა, ოღონდ არა ფუნჯით, საჭრეთლითა და ჩაქუჩით ხელში, არამედ ფოტოაპარატით. ერთ-ერთმა მათგანმა, ამერიკელმა ჰერბ რიტსმა უწინარეს ყოვლისა სწორედ სპორტის ვარსკვლავთა შიშველი სხეულის შუქით წერაში გაითქვა სახელი. ნიუს ჟანრში მისი ცამეტი ათლეტისგან შემდგარი სერია ფართოდაა ცნობილი როგორც სპორტულ სამყაროში, ისე ფოტოხელოვნებაში. მენატურედ მიწვეულთა ერთმა ნაწილმა ჰერბ რიტსის წინადადება უმალ დიდი ენთუზიაზმით მიიღო. მაგალითად, 1993 წლის მსოფლიოს ჩემპიონი თარჯბენში ინგლისელი კოლინ ჯექსონი ფოტოხელოვანს თურმე თავადაც დიდი გატაცებით სთავაზობდა ნაირგვარ პოზებს თუ რაკურსებს. ყოფილან ისეთებიც, რომლებსაც ჰერბ რიტსისთვის თავდაპირველად ცივი უარი უტკიციათ. მათ შორის სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ფრანგ მარი-ჟო პერეკს, ერთადგილიანი ბაიდარებით ოლიმპიურ ჩემპიონს იტალიელ ანტონიო როსის, ჩოგბურთელ კარლოს მოიას.

— ანტიკური ხანის ათლეტები, როგორც წესი, მხოლოდ შიშვლები ასპარეზობდნენ და მოქანდაკენიც ამგვარადვე „ძერწავდნენ" მათ ფიგურებს. თქვენ, თანამედროვე ჩემპიონები, რითი ხართ იმ ათლეტებზე ნაკლებნი? თქვენი ფიგურები არანაკლებ ღირსია მოქანდაკის საჭრეთლისა, ფერმწერის ფუნჯისა და... ჩემი ფოტოაპარატისა! — ამგვარად აქეზებდა თურმე ჰერბ რიტსი თავისი მომავალი ნამუშევრების პერსონაჟებს. აქეზებდა და ახლა ვხედავთ მარი-ჟო პერეკის ტანსაც, ანტონიო როსის ფიგურასაც მოძრაობაში, გერმანელი ჩოგბურთელის ბორის ბეკერის, შვეიცარიელი მორბენლის ანიტა ვაიერმანის, ბრიტანელი სიგრძეზე მხტომელის ჟაკ აგიეპონგის, ამერიკელი ათჭიდელის დენ ო ბრაიენის ექსპრესიით აღსავსე შიშველ სხეულებსაც და სხვათა ფიგურებსაც.

ჰერბ რიტსის მიერ ნიუს ჟანრში შესრულებული ნამუშევრები, მსოფლიოს სხვა ცნობილ 14 ფოტოხელოვნის ისეთსავე შემოქმედებასთან ერთად ავსტრალიურმა „ბლექ პლუს ვაითმა" დასტამბა თავის სპეციალურ გამოცემაში „მასტერს" („ოსტატები").

„ბლექ პლუს ვაით" 1992 წლიდან ორ თვეში ერთხელ გამოდის. როგორც თავად გვამცნობს, იგი ეძღვნება ფოტოგრაფიას, ხელოვნებას, დიზაინს, პოპულარულ კულტურას. იგი გვიჩვენებს შიშველი სხეულის მშვენიერებას და ნიუს ჟანრში „მასტერსის" გარდა კიდევ ოთხი სპეციალური გამოცემა დასტამბა, რომელთაგან ორი ავსტრალიის ოლიმპიელებს ეძღვნება. პირველს ჰქვია „ატლანტა დრიმ" („ატლანტის ოცნება"), რაც 50000-იანი ტირაჟით გამოიცა, მეორეს კი „სიდნეი დრიმ" („სიდნეის ოცნება") უწოდეს. პირველში 31 შიშველი სპორტსმენის ფანტასტიკურად დინამიურ ფოტოს ვხედავთ მოძრაობაში, მეორეში კი 27 ათლეტის ასევე ბრწყინვალე ექსპრესიული სურათია დაბეჭდილი.

იქვეა დასტამბული მათ ავტორთა ავტოპორტრეტები, ერთ-ერთ მათგანს, ჯეიმს ჰიუსტონს კი თავი ნიუს ჟანრში წარმოუდგენია.

ასე რომ, ხუთ რგოლს გულში ჩაუკრავს სპორტი, კულტურა და ნუდიზმი.

სხვათა შორის მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე ხუთმა რგოლმა შიშველი ადამიანი პირდაპირ მნიშვნელობითაც ჩაიწნა. მაშინ, ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე ერთი გადარეული მამაკაცი ტრიბუნიდან დედიშობილა გადაეშვა მექსიკელი ქალებისაგან შეკრულ ხუთ ვეება ცოცხალ რგოლში, სადაც წრიდან წრეში დარბოდა და როკავდა.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ჭიდაობა. ჩ.წ.ა VI საუკუნის ლარნაკწერა



რბენა. ჩ.წ.ა. VI საუკუნის ლარნაკწერა

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# იაგრს ნუ მისტირით

***ოთხშაბათს, 3 ოქტომბერს, სამი შეხვედრით სტარტი აიღო ნჰლ-ის 85-ე რეგულარულმა ჩემპიონატმა. განრიგმა ორ მატჩში პრინციპული მეტოქეები შეახვედრა ერთმანეთს: ტორონტო — ოტავა და კალგარი — ედმონტონი. და მაინც, დღის უმთავრესი ორთაბრძოლა პიტსბურგში გაიმართა, სადაც „პინგვინებმა“, რომლებიც პირველად ბოლო ათი წლის განმავლობაში იარომირ იაგრის გარეშე გავიდნენ ყინულზე, თასის მფლობელ კოლორადოს უმასპინძლეს.***

3 ოქტომბერი

**პიტსბურგი 1:3 კოლორადო (0:0 0:2 1:1)**
0:1 ნედოროსტი 22 (1), 0:2 საკიკი 30 (1), 0:3 დრური 49 (1), 1:3 ლანგი 54 (1)

**კალგარი 1:0 ედმონტონი (0:0 0:0 1:0)**
1:0 სავარი 47 (1)

**ტორონტო 4:5 ოტავა (1:2 2:2 1:1)**
0:1 რედენი 3 (1), 1:1 მოგილნი 8 (1), 1:2 ბონსა 15 (1), 2:2 მოგილნი 22 (2), 2:3 რუა 23 (1), 2:4 ბონკი 36 (1), 3:4 სუნდინი 39 (1), 3:5 უაიტი 49 (1), 4:5 რობერტსი 49 (1)

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ერთი მატჩია, მაგრამ ჯერჯერობით პიტსბურგს იაგრის არყოფნა უფრო ეტყობა, ვიდრე კოლორადოს — რეი ბურკის და პიტერ ფორსბერგის გარეშე თამაში. ჩემპიონის უპირატესობა აშკარა იყო და საბოლოოდ საკმაოდ იოლი გამარჯვებაც მოიპოვა.

თუმცა თავიდან პიტსბურგმა იაქტიურა. როგორც კი გახსნის საზეიმო ცერემონიალი დამთავრდა და მატჩი დაიწყო, პირველივე წუთზე, მასპინძლებს ორჯერ შეეძლოთ გატანა. ჯერ იყო და სწორედ იაგრის ნაცვლად ვაშინგტონიდან მისულმა ახალბედა კრის ბიჩმა შაიბა ძელს გაარტყა, შემდეგ იგივე ალექსეი კოვალიოვმაც გააკეთა, ოღონდ გაცილებით ხელსაყრელი პოზიციიდან. ყოველივე ამის გამო პიტსბურგელებმა მწვრთნელ ივან ჰლინკას ქება დაიმსახურეს: „ეს ჰოკეია და ის, ვინც კარგად თამაშობს, ყოველთვის როდი იგებს“ — განაცხადა მატჩის შემდეგ „პინგვინთა“ თავკაცმა. მეორე პერიოდში კი ვითარება შეიცვალა და ჩემპიონმა ნათლად აჩვენა, თუ როგორ უნდა გამოიყენოს უმაღლესი დონის გუნდმა შექმნილი მომენტები. კოლორადოს ვარსკვლავებზე ალარაფერს ვიტყვით, რადგან ისინი ახალბედა ვაცლავ ნედოროსტმა დაჩრდილა. მწვრთნელებმა 20 წლის ჩეხი თავის პირველ ნჰლ-ურ მატჩში ჯო საკიკის სამეულში გაამწესეს და მანაც გაამართლა ნდობა. 22-ე წუთზე ნედოროსტმა მყისიერი დარტყმით გაალგნა მასპინძელთა მეკარე იოჰან ჰედბერგი, ხოლო შეხვედრის შუაგულში დებიუტანტმა კომბინაცია წამოიწყო, რომელიც მილან ჰეიდუკმა გააგრძელა და საკიკმა ბრწყინვალე ფარული დარტყმით დააგვირგვინა. ბოლო მესამედში ჩემპიონს მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება არ გასჭირვებია, მით უმეტეს, რომ 49-ე წუთზე ჰედბერგთან პირისპირ დარჩენილმა კრის დრურიმ მესამეც გაიტანა. მასპინძლებმა კი ერთადერთი საპასუხო შაიბის შეგდება მოახერხეს შეუდარებელი პატრიკ რუას (32 მოგერიება) კარში.

არაფერი გვითქვამს მარიო ლემიეზე, თუმცა სუპერმარიო რა სახსენებელია — მთელი მატჩის განმავლობაში არც ერთხელ არ დაურტყამს და საერთოდ, მისი სამეული აშკარად ჩამორჩებოდა საკიკისას. ხოლო ნამატჩევს, როცა ლემიეს ჰკითხეს, აზარალა თუ არა გუნდი იაგრის წასვლამ, პიტსბურგის კაპიტანმა და მფლობელმა უკმაყოფილოდ უპასუხა, ეს ხომ მხოლოდ ერთი თამაშიაო. თუმცა იქვე დასძინა, რომ გუნდს საკმაო დრო დასჭირდება მანამ, სანამ ცალკეული რგოლები ურთიერთშეთამაშდებიან.

ლემიესთან ერთ სამეულში ითამაშა ცნობილმა ვეტერანმა სტეფან რიშემ. 80-90-იანების მიჯნაზე იგი ელიტარულ ფორვარდად ითვლებოდა, ლიგაში თასის ორგზის მფლობელს 986 მატჩში 407 გოლი მიუთვალა. მაგრამ შარშან რიშე ვაშინგტონის შემადგენლობაში ვერ მოხვდა და თითქოს კარიერის დასრულებასაც აპირებდა, მაგრამ ლემიეს უარი ვერ უთხრა და მას მერე, რაც საწვრთნელ ბანაკში თავი გამოიჩინა, გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ტრადიციისამებრ, ოტავამ კვლავ დაამარცხა ტორონტო რეგულარული ჩემპიონატის მატჩში (შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში „სენატორებმა“ 0:4 წააგეს). სტუმრებმა რიცხვმრავლობაში უკეთ ითამაშეს და ამის ხარჯზე გაიმარჯვეს; ოტავამ 5 ცდიდან 3 გამოიყენა, აქედან მესამე კი, ტოდ უაიტის გოლი, გადამწყვეტი გამოდგა. მასპინძლებმა კი რიცხობრივი უპირატესობით ორჯერ ისარგებლეს და ეს ორჯერვე გუნდის ყველაზე ძვირფასმა საზაფხულო შენაძენმა, ალექსანდრ მოგილნიმ გააკეთა.

კალგარისაც გაუმართლა ახალწვეულმა. მეკარე რომან ტურეკის ჩინებულმა თამაშმა მის ახალ გუნდს პრინციპულ მეტოქესთან ჭიდილში მოგება მოუტანა. ჩეხმა 24 დარტყმა მოიგერია, ერთადერთი შაიბა კი მარკ სავარმა შეაგდო, რომელმაც დამატებაზე იხეირა.

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS

პიტსბურგი — კოლორადო.
პიტსბურგელი დარიუს კასპარაიტისი (მარცხნივ) და ალექს ტანგეი

# კოფის წავიდა

**რაღაც** 4 თვეში ლიგას ბოლო 20 წლის ორი საუკეთესო მცველი გამოეთხოვა, მაგრამ თუ ერთ-ერთმა მათგანმა, რეი ბურკმა, ტრიუმფალურად დაასრულა კარიერა და ბოლოს სანუკვარი ნატვრაც კი აისრულა, მეორე, პოლ კოფი, ჩუმად, უხმაუროდ წავიდა. რას იზამ, ზოგისთვის დაუნდობელია ცხოვრება. კოფის ბოლო წლები ნჰა-ში ეკლიანი და ტანჯული გამოდგა. ყველაფერი კი 1996 წელს დაიწყო, როცა მაშინ დეტროიტელი კოფი კაროლინაში ბრენდან შენაჰანზე გაცვალეს. იმ სეზონში დეტროიტმა თასი აიღო, ხოლო მომდევნოში გაიმეორა წარმატება, კოფი კი ქვემოთ და ქვემოთ მიექანებოდა, 5 წლის განმავლობაში 4 კლუბი გამოიცვალა და ერთშიც ვერ ითამაშა. მეტიც, ტრავმებმა და ასაკმა ისეთი კვალი დაატყო, რომ ძირითად შემადგენლობაშიც კი ველარ ხვდებოდა. გასულ სეზონში სახელოვანმა ვეტერანმა მხოლოდ 18 მატჩი ჩაატარა ბოსტონის რიგებში, კვლავ წარუმატებლად, და როცა ზაფხულში მისი შეძენა არც ერთმა სხვა კლუბმა არ ისურვა, გადაწყვიტა, წასულიყო.

...ჩვენ სხვა კოფი გვახსოვს. შეუდარებელი, სწრაფი, უმაღლესი ტექნიკის მქონე შემტევი მცველი, რომლის დარიც არ გამოჩნდა მთელი ათწლეულის განმავლობაში. მისი შეჩერება მეტოქეებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა. კოფის შედეგიანობა დღევანდელ დღეს თითქმის არარეალურადაც კი ჩანს — ამპლუით მცველმა 5-ჯერ ჩემპიონატში 100 ქულაზე მეტი მოაგროვა, ხოლო 1985-86 წლების სეზონში ფანტასტიკური რეკორდი დაამყარა, 138 (48+90) ქულა დააგროვა, რომლის გაუმჯობესებასაც, ალბათ, ვერც ერთი უკანახაზელი ვერ შეძლებს. იქნებ ზოგმა თქვას, ისეთი პარტნიორები ჰყავდა, რა გასაკვირიაო. დიახ, 80-იანი წლების ედმონტონი თავისი გრეცკით, მესიეთი და კურით შეუდარებელი იყო, ისევე როგორც 90-იანების დასაწყისის მარიო ლემიესა და იარომირ იაგრის პიტსბურგი, მაგრამ მაშინდელი ნჰლ-ის თამაშების მაყურებელი დაგვეთანხმება, რომ ორივე გუნდი კოფის გარეშე წარმოუდგენელი გახლდათ.



**პოლ კოფი**

დაიბადა 1961 წლის 1 ივნისს
1980 წელს ედმონტონმა დრაფტის მე-6 ნომრად აიყვანა
თასის ოთხგზის (1984, 85, 87, 91) მფლობელი
14-ჯერ მონაწილეობდა „ოლ სტარში“
კანადის თასის სამგზის (1984, 87, 91) მფლობელი
21 სეზონი ნჰლ-ში: 1409 თამაში, 396 გოლი, 1135 პასი და 1532 ქულა (სამივე მეორე შედეგია მცველთა შორის ლიგის ისტორიაში)



# კრივალოსანი



მაიკ ტაისონი კოპენჰაგენის აეროპორტში

**მსოფლიოს** ყოფილი მძიმეწონოსანი ჩემპიონი, მაიკ ტაისონი 13 ოქტომბერს დანიელ ბრაიან ნილსენთან საბრძოლველად კოპენჰაგენში ჩავიდა. ტაისონს თითქმის ერთი წელიწადია რინგზე ფეხი არ შეუდგამს, მაგრამ თუ გაიმარჯვებს, ამით საგაისოდ დიდ ბრძოლებს ჩაუყრის საფუძველს.

„თუ მაიკი ნილსენს სძლევს, ჰასიმ რაჰმანსა და ლენოქს ლუისს შორის გამარჯვებულს შეხვდება. ეს ფაქტია“ — აცხადებს ტაისონის მრჩეველი შელი ფინკელი.

35 წლის ტაისონი კოპენჰაგენს ცხვრის ტყავის ქურთუკსა და შალის ქუდში მოევლინა, ოღონდ ჟურნალისტებსა და ავტოგრაფების მოყვარულებს ცოტა დრო დაუთმო. ლას ვეგასიდან ვაშინგტონის გავლით 14 საათის განმავლობაში ნაფრენი კაცის კვალობაზე საკმაოდ ცოცხლად გამოიყურებოდა.

მისმა ბანაკმა განაცხადა, რომ მოკრივე კოპენჰაგენს აკლიმატიზაციისთვის გამოყოფილ დროზე სამი დღით ადრე ეწვია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დღეებში მის სახლს პოლიციელები ჩხრეკდნენ და ამის გამო გამოფრენის თარიღი ერთგვარ კითხვის ნიშნის ქვეშ იყო.

პოლიციელთა აქტიურობის მიზეზი კი აი, რა გახლდათ: ტაისონს მორიგი სექსუალური ძალადობა ბრალდება. ეჭვის თანახმად მან დანაშაული ნევადის შტატში ჩაიდინა. ნევადელი პოლიციელი ტომ მონაჰანი ამბობს:

„დაზარალებულმა ტაისონი ამოიცნო, ხოლო მის სახლში მოწყობილი ჩხრეკა ხანგრძლივი გამოძიების მხოლოდ ერთი ნაწილი გახლდათ. ჯერჯერობით ვინმეს დაპატიმრება არ იგეგმება“.

როდესაც ჩხრეკის ორდერით „ხელდამშვენებული“ პოლიციელები მიადგნენ, დღის პირველი საათი გახლდათ და ტაისონი შინ იყო. მან მოსულებს მუშაობაში სრულიად შეუწყო ხელი. ჩხრეკის შედეგებს ჯერ საჯაროდ არ აცხადებენ.

შეგახსენებთ: ერთი თვის წინ, მავანმა 50 წლის არლინ მურმანმა იჩივლა, რომ 16 ივლისს ტაისონმა გააუპატიურა. მოგეხსენებათ, 1992 წელს მოკრივე „მის ბლექ ამერიკის“ გაუპატიურების გამო გაასამართლეს და, ბუნებრივია, ამ საქმეში სახელგატეხილია, მაგრამ ამჯერად აცხადებს, რომ ახალ ბრალდებასთან საერთოდ არ აქვს კავშირი.

***

**გეხსომებათ:** დონ კინგს WBA-ს მძიმეწონოსანი ჩემპიონის, ჯონ რუისის მესამე ბრძოლა ევანდერ ჰოლიფილდთან ჩინეთის დედაქალაქ პეკინში ჰქონდა დანიშნული, მაგრამ ბოლოდროინდელ ტერორისტულ ამბავთა გამო გეგმა ჩაეშალა. ახლა, გეგმა შეიცვალა და დადგინდა, რომ რუისი და ჰოლიფილდი ერთმანეთს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეხვდებიან, ხოლო მასპინძლობის მსურველ სარბიელთა შორის ფავორიტი კონექტიკუტის „მოჰეგან სან კაზინოა“. თარიღი, ალბათ, ადრინდელი დარჩება — 24 ნოემბერი.

„ჩვენს წინაშეა კრიზისი, ტერორიზმთან ომი და ამ ფონზე კატეგორიულად მინდა განვაცხადო, რომ საკუთარი საქმიანობის გაფართოების გამო, ერთი ამერიკელის სიცოცხლესაც არ ჩავაგდებ საფრთხეში. მე მხარს ვუჭერ HBO-სა და სახელმწიფო დეპარტამენტს. ვაცხადებ: რაც მითქვამს, ავასრულებ. ჩვენ ჩინეთში ან დედამიწის რომელიმე სხვა წერტილში არ წავალთ. ამ წუთას მე ჩემს ასამდე თანამშრომელს ამერიკიდან ვერსად გავუშვებ“ — ამბობს დონ კინგი.

***

**ოთხშაბათს,** საშუალო წონის ყოფილი ჩემპიონი მუსტაფა ჰამში მოკრივეთა ფონდის დამფუძნებელ კრებაზე ატირდა. ფონდი დახმარებისაა — შეგროვილი თანხები მსოფლიოს სავაჭრო ცენტრში დაღუპულ მუშათა ოჯახებს მოხმარდება. წარმოშობით სირიელი ჰამში, რომელმაც 80-იან წლებში მარვინ ჰაგლერთან ორი ეპოქალური ბრძოლა წააგო, 11 სექტემბრის ტრაგედიაზე, უფრო სწორედ კი საკუთარ გრძნობებზე გვიამბობს:

„არაბი ვარ, მაგრამ არა მათგვარი. იქ, სავაჭრო ცენტრში, ბევრი მეგობარი დავკარგე. იმ დღეს, ტერორისტულმა აქტმა უამრავი არაბი იმსხვერპლა, მაგრამ დღეს მათზე არავინ ლაპარაკობს. თავად მუსლიმს მწამს, რომ რაგინდ რელიგიას მისდევდე, ნიუ იორკში მომხდარს მხოლოდ ერთი სიტყვით თუ შეაფასებ: ეს საშინელება იყო“.

**ტუტა სიხარულიძე**

**განათლების სამინისტროს ჰარმონიული განვითარების ცენტრი**

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ხელოვნების სტუდიაში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ტანსაცმლის მოდელირების სპეციალობებზე.
მოსწავლეები შეისწავლიან ფერწერას, გრაფიკას, ძერწვას, გობელენსა და მაკრამეს, ხისა და ლითონის დამუშავებას.
სტუდიაში მიიღებიან ბავშვები შვიდი წლის ასაკიდან და ზემოთ.

მისამართი: დავით აღმაშენებლის 68.
ტელ: 95 48 57, 92 03 96



REUTERS

# ჩემი ტორონტოს საღამო

გუშინ დაიწყო ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატი ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქებში. დიდი ხმაურით ჩაიარა ამ დღემ ტორონტოში, სადაც კლუბმა „მეიფლ ლიფზმა“ თავისი ლეგენდარული თავდამსხმელის, ფრენკ მახოვლიჩის ნომერი უკვდავყო. თავის ძმასთან, პიტთან ერთად ფრენკი 30-40 წლის წინათ ბრწყინავდა ლიგაში. კარიერაში 26 533 გოლი გაიტანა და ექვსჯერ მოიგო სტენლის თასი. ამიერიდან მისი №27 უკვდავად გამოცხადდა. ფრენკი ცოლთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად მივიდა დარბაზში, თუმცა, რეგულარული ჩემპიონატის პირველმა დღემ იმედი გაუცრუვა. „ტორონტომ“ 4:5 წააგო „ოტავა სენატორზთან“ მძიმე და უხეშ თამაშში, რომლის პირველ პერიოდშივე ტორონტოელი დერსი ტაკერის მიერ ნაგვემი ოტაველი მცველი კარელ რაჩუნეკი საკაცით გაიტანეს მოედნიდან.



REUTERS

# ფყუილდის!

კოლუმბიელი ძალოსანი მარია ისაბელ ურუტია სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონია 75 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, მაგრამ ახლა მძიმე დღეები უდგას. აგვისტოს მიწურულს, კოლუმბიის დედაქალაქ კალიში მიმდინარე სამხრეთამერიკელ ძალოსანთა შეჯიბრზე აღებულმა დოპინგტესტმა დადებითი შედეგი უჩვენა, ნანდროლონით და მთელი ამბავით. ამ შედეგის პასუხია ის პრესკონფერენცია, რომელზედაც მარია ისაბელი თავს იმართლებს.



REUTERS

# მონტოია ბავშვებთან

ხუან პაბლო მონტოია, კოლუმბიელი მეფორმულე, ბოგოტის ახლოს, ტოკანციპას ტრასაზე ტრიალებს და მის მიერვე მოწყობილ საქველმოქმედო შეხვედრაზე მასპინძლობს გონებადაქვეითებულ და ინვალიდ ბავშვებს. იქეთ კვირას მონტოია იაპონიაში მიემგზავრება, სადაც სუძუკაზე უნდა ირბოლოს დიდი პრიზისთვის.



REUTERS

# ჯორდანის სიტყვა

ვილმინგტონში ვარჯიშობს „ვაშინგტონ ვიზარდსი“. რაც გინდათ ისა თქვით და მაიკლ ჯორდანის თამაშში დაბრუნება დიდი სტიმულია მაჩანჩალა გუნდის მოთამაშეებისთვის. აბა, რას ამბობს ამისთანას მისი უპაეროვნესობა, რომ მის თანაგუნდელს, პოპი ჯონსს თვალები გადმოვარდნაზე აქვს? ალბათ, ისეთს არაფერს, უბრალოდ, ჯორდანი ამბობს და მორჩა.



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის
რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია აზალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge